საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარტისიბბაზე უსაძაგღესია.

ოთხშაბათი, 13 აპრილი. 2016 წ. №68 (7960), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

2

გიგლა ბარამიძე:

NDI-ის კვლევებში მხოლოდ ნაციონალთა მხარდამჭერები მონაწილეობენ

გუბაზ სანიკიძე:

„ბიძინამ ძალიან კარგად იცის, რომ მე საქმისთვის და ქვეყნისთვის არ მიღალატია!“

18-წლამდელთათვის წაკითხვა მიზანშეუწონელია



5

ცრუქაქუნა მახოდალები და გაკაპასებული ხოდილები

4

სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!

ანუ რა ფასის გადახდა მოუწევს ევროპას თავისივე დანაშაულებრივი გულგრილობის გამო

მეგის ქარდავას გენერალ-მაიორ რომან დუმბაძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებენ

საძართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წლის 7 აპრილს გამოიტანეს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და 8 აპრილს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსწრებლად მისცეს საქართველოს მოქალაქე მეგის ქარდავა, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, საქართველოს მოქალაქე გენერალ-მაიორ რომან დუმბაძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის შეკვეთის ფაქტზე, — განაცხადა გუშინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამართულ ბრიფინგზე გამომძიებელმა სავლე მოთიაშვილმა.

მისი თქმით, გამოძიებით დადგენილია, რომ მეგის ქარდავა შუამავლის მეშვეობით რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას დაუკავშირდა და რომან დუმბაძის მკვლელობა შეუკვეთა. 2012 წლის 21 მაისს, ქ. მოსკოვში ოთხკაციანმა ჯგუფმა ეს მკვლელობა გარკვეული თანხის სანაცვლოდ განახორციელა. ოთხივე პირი სასჯელს რუსეთის ფედერაციაში იხდის, ხოლო შუამავალი საქართველოში იქნა დაკავებული და იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

რომან დუმბაძე 2004 წლიდან სასჯელს იხდიდა საქართველოში სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. 2008 წლის 27 აგვისტოს იგი შეწყალებული იქნა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის განკარგულებით. სისხლის სამართლის საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე საქმის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

სახელმწიფოს ყურადღება – ღირსეულთ!

ეს გამორჩეული ხელოვანი და მოღვაწე ნამდვილად იმსახურებს ამ დიდ ეროვნულ ჯილდოს!..



3

ინგლისური ისწავლეთ, ტაქსისტებო!

სატაქსო ბიზნესი – შეზღუდვა თუ წახალისება?!

11

7

ნიკოლაუს რილი.

გერმანელი ქიმიკოსი

ორი შეხვედრა ბერიასთან

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

თუ ხალხი მხარს დაუჭერს, ესე იგი – ხალხს მოსწონს

Freedom House-ის ანგარიშში სახელწოდებით „ქვეყნები გარდამავალ პერიოდში – 2016“ ნათქვამია, რომ ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წელს საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იქნება.

„მოსალდონელი დაძაბული რბოლის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, გაიზრდება „ქართული ოცნების“ – მმართველი კოალიციის, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური ჯგუფების პოლიტიკური აქტივობა. „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერის დონის შემცირებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეტწილად მდგრადი მხარდაჭერის გამო, არჩევნების მთავარი ბენეფიციარი შესაძლოა, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები გახდნენ, თუკი ამჟამინდელი ტენდენცია გაგრძელდება. ამ პარტიებს შორის არიან პრორუსული და ანტიდასავლური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, ფუნდამენტურად შეცვალონ საქართველოს საპარლამენტო პოლიტიკის ხასიათი იმის მიუხედავად, რომ ნაკლებად სავარაუდოა, ისინი ძალაუფლების მოსაპოვებლად საკმარის მხარდაჭერას მოიპოვებენ“, – ნათქვამია დოკუმენტში.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქართულ პოლიტიკაში კვლავ ჩართულები არიან ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მილიარდერი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც 2011 წელს „ქართული ოცნება“ დააფუძნა, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლის შემსრულებლად მიიჩნევა.

„სახელმწიფო საქმეებში მისი მონაწილეობის გარშემო არსებული გაურკვევლობა დაძაბულობის მუდმივი წყაროა. გაურკვევლობის გამო, კრიტიკოსები მთავრობის ყველაზე ნეგატიურ ნაბიჯებს, ჩვეულებრივ, ივანიშვილის გავლენის მტკიცებულებად ასახელებენ. ამის მიუხედავად, მთავრობასთან ივანიშვილის ურთიერთობებთან დაკავშირებული გაურკვევლობა მისი გავლენის შეფასებას ართულებს“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

რაც შეეხება ოპოზიციას, დოკუმენტის ავტორები აცხადებენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კვლავ ჩართულია, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოქალაქეობა უკრაინული პასპორტის მიღების გამო ჩამოართვეს.

NDI-ის კვლევებში მხოლოდ ნაციონალთა მხარდამჭერები მონაწილეობენ

პარტია გაერთიანებული დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის გიგლა ბარამიძის განცხადებით, გამოკითხულთა ბაზის 3500 ადამიანი მათი კოორდინატორები და მხარდაჭერები არიან.

როგორც ბარამიძემ პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კვლევები მიკერძოებულია და გარკვეული პოლიტიკური ძალების მხარდასაჭერად ტარდება.

„ხალხს რომ უჭირს და პურის ფული არ აქვს, ამას კვლევების ჩატარება არ უნდა. დღეს გამოქვეყნდება პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული კვლევები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს აყოლილი იქნება პოლიტიკურ სიოს და კონიუნქტურას. მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ რაც უნდა ვიძახოთ, რომ NDI დამოუკიდებული საერთაშორისო ინსტიტუტია, ძირითადად, ასეა, მაგრამ ის დაფუძნებულია აშშ-ის კონგრესის მიერ და იმ კვლევებს, რასაც ის ახორციელებს, აფინანსებს შვედეთის სამეფო და ქვეკონტრატორი წინა ხელისუფლების მონათესავე და შვილობილია. ის ქალბატონიც, რომელიც ამას ხელმძღვანელობს, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, ბატონი თარხნიშვილის მეუღლეა. ჩვენი მონაცემებით, გამოკითხულთა ბაზის 3500 ადამიანი მათი კოორდინატორები და მხარდაჭერები არიან. ამიტომ გამოკითხვები მიკერძოებული იქნება“, – განაცხადა ბარამიძემ.

გამოფენაზე საქართველოს სტენდი პრეზიდენტმა მოინახულა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პოტენციალი ბაქოში გამართულ მე-15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „AITF 2016“ წარადგინა. დეპარტამენტი გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად იმყოფებოდა. საქართველოს სტენდი აზერბაიჯანში ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მეუღლესთან ერთად მოინახულა.

აჭარის სტენდზე მისულ ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ რეგიონის შესახებ მომზადებულ მრავალფეროვან სარეკლამო მასალებს გასცნობოდნენ და ინფორმაცია მიეღოთ აჭარაში არსებული ტურისტული პროდუქტების შესახებ.

გამოფენაზე 42 ქვეყნის 300-ზე მეტი ტურისტული კომპანია იყო წარმოდგენილი. გამოფენის ვიზიტორებს ექსკლუზიურ შემოთავაზებებს ტურისტული ორგანიზაციები, სასტუმრო სექტორი, სანატორიუმები, გამაჯანსაღებელი და სპა ცენტრები, სპორტული და ეკოლოგიური ტურისტული ობიექტები წარუდგენდნენ.

„ბიძინამ ძალიან კარგად იცის, რომ მე საქმისთვის და ქვეყნისთვის არ მიღალატია!“

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე 2012 წლის ფარულ აუდიოჩანაწერზე კომენტარს აკეთებს. მისი თქმით, ამ ჩანაწერის შინაარსი მხოლოდ მისი და ბიძინა ივანიშვილის საქმეა.

„პირდაპირ გეტყვით – იმ ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ბიძინა ივანიშვილისგან წამიერადაც არ მიგრძნია, რომ ჩვენს ურთიერთობაში რამე გაფუჭდა და ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი! ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არ არის უბრალო კაცი! მან შეიძლება, მხოლოდ საქმის ღალატი და ორგულობა არ გაპატიოს! ბიძინამ ძალიან კარგად იცის, რომ მე საქმისთვის და ქვეყნისთვის არ მიღალატია! მოდით, ერთხელ და სამუდამოდ დავხუროთ ეს ამბავი! ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი და ბიძინა ივანიშვილის საქმეა და არავისი სხვისი! – ხმამაღლა ვამბობ – ბიძინა ივანიშვილს პირადი ურთიერთობა საქმიან ურთიერთობასთან არ გაუგიგივებია და კიდევ ერთხელ საჯაროდ ვუხდი მადლობას ამის გამო!“ – აცხადებს გუბაზ სანიკიძე.

მიშას დრო მოვიდა, ხალხო?!

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი თარხან გასვიანი სამართალდამცველებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.

მისი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ფალიაშვილის ქუჩაზე, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა რამდენიმე პირმა გააჩერა, რის შემდეგაც პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს და უმიზეზოდ სამი დღე დაკავებული ჰყავდათ.

გასვიანი მომხდარს პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს.

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლის თქმით, მას ტვინის შერყევის მძიმე ფორმა და წოლითი რეჟიმი აქვს.

„შემოვიდა გიორგი გაკაფაშვილი – ახალგადმოსული ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსის მოადგილე. ტერფებზე მუხლები დამადგა, ყელში მწვდა. ნახევარი საათის განმავლობაში გრძელდებოდა ჩემი ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ დროს შემოვიდა ჩემ დაკავებაში მონაწილე პირი მანუჩარ შონია. მანაც გააგრძელა ჩემი შეურაცხყოფა“, – აცხადებს თარხან გასვიანი.

„პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლის, თარხან გასვიანის ბრალდებების საფუძველზე გამოძიება მთავარმა პროკურატურამ დაიწყო.

როგორც მედიანიუსს საგამოძიებო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა განუცხადა, სამართალდამცველის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით.

ყარაბაღის შემდეგ, პროვოკაციის სამიზნე ვაითუ აფხაზეთი გახდეს

ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლის, გენერალ-ლეიტენანტის, პარტია „ერთიანი აფხაზეთის“ პოლიტსაბჭოს წევრის ვლადიმირ არშბას განცხადებით, საჭიროა გაერთიანებული სამხედრო დანაყოფის სასწრაფო შექმნა იმისთვის, რომ რესპუბლიკაზე სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მისი აღკვეთა მოხერხდეს.

როგორც არშბამ აფხაზურ მედიას განუცხადა, ყარაბაღში მომხდარი უკანასკნელი მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მსოფლიო პოლიტიკური კრიზისის დროს გაყინულ კონფლიქტებს განახლების ტენდენცია აქვთ.

მისივე თქმით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის უკან უშუალოდ თურქეთი დგას და არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აფხაზეთი გახდეს მომდევნო პროვოკაციის სამიზნე.

მთაწმინდელობის ღირსი

ვეხმაურებით პროფესორ ვალერი ასათიანის წერილს – „მთაწმინდისკენ მიმავალი გზა“

(„საქართველოს რესპუბლიკა“, 5 აპრილი, 2016წ.)

მართლაც რომ დროულია, მართლაც რომ საეტაპო და ისტორიული მნიშვნელობისა ვალერი ასათიანის ეს საგაზეთო წერილი. თითქოსდა იგი, ყველა ჭეშმარიტი ქართველისა და მამულიშვილის გულში იჯდა და არა მარტო თავისი, არამედ მათი ამოძახილიც აღმოხდა გულიდან.

ბევრი თავის თავს უსაყვედურებს, რატომ არ ვიღებდით აქამდე ხმას, რატომ ვდუმდით ასე დიდხანს. ახლა კი, თვით დროის გავლენამ და ძალამ განსაზღვრა ასე დასმა ქართველთა აუცილებელი მოთხოვნისა. ეს ასწლიანმა დრომ გვაგრძნობინა და გვიკარნახა. ასმა წელმა, რამდენისაც იქნებოდა დღეს ლადო ასათიანი.

საქართველოს მდიდარი პოეზიის ფართოდ მოცულ სივრცეში ბევრი მოკიაფე და ბევრი კაშკაშა ვარსკვლავია. ეს მთელი პოეტური გალაქტიკაა, რამაც დაიპყრო მსოფლიო.

საქართველოს პოეტურ თანავარსკვლავედში ამ ასი წლის წინათ გაჩნდა ლადო ასათიანის მოკიაფე ვარსკვლავი, რომელმაც სხვებისაგან განსხვავებით მალევე დაიწყო კაშკაში და ასეთივე კაშკაშითვე გადავიდა მარადიულობაში. ეს პოეზიის ბუნების განსაკუთრებულობა იყო, მოულოდნელი და თითქოსდა ამოუხსნელიც.

ლადო ასათიანის პოეზია სწორედაც რომ სხვებისგან განსხვავებული, თავისთავადი, განუმეორებელი, შეუდარებელი და გამორჩეული, ამავე დროს თავისებური საიდუმლოებითაც არის მოცული.

ლადო ასათიანის ყველა ლექსი მღერის, ომახიანობს, მკითხველის ხასიათსა და სურვილებს ესადაგება და ესალბუნება, და, საოცარია, რომ თითქოს ყოველი წაკითხვისას მაღლდება, უკიდეგანო სივრცეებს სწვდება და მკითხველსაც ამღერებს, რწმენას უსადგურებს, ზეციურ ძალას აზიარებს.

ლექსმა რომ გამღეროს, თვით პოეტი უნდა მღეროდეს, თავისივე რითმების გავლენასა და გარემოცვაში მყოფი.

ლადო ასათიანის ლექსის რითმა მგრძნობიარეა, ტევადი, სრულიად ახლებური, მხოლოდ მისეული, დამატყვევებელი. მკითხველი ამ რითმების მოტრფიალე და მოსიყვარულე ხდება. როგორც მუხრან მაჭავარიანმა თქვა: მისმა ლექსებმა ხალხის გული იპოვა.

აი, რაში გამოიხატება ჩვენი სათაყვანებელი პოეტის ლადო ასათიანის პოეტური გენია.

ვამბობთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ დაეწერა მხოლოდ „მერანი“, ესეც კი იკმარებდა მის უკვდავსაყოფად. ასევე ითქმის ლადო ასათიანზეც. მას რომ დაეწერა მხოლოდ ერთი, თავისი პოეტური შედევრებიდან, ვთქვათ „ბასიანის ბრძოლა“, ესეც კი იკმარებდა მისი პოეტური გენიის ასაღიარებლად.

ლადო ასათიანი მოვლენა იყო ქართულ პოეზიაში. თავისი პოეტური პარამეტრებით ის ერთადერთია, განუმეორებელი, ყველასათვის ახლობელი და საყვარელი, რომელიც ჭაბუკად დარჩა მარად.

ამის მერე, განა კი შეიძლება საორჭოფო იყოს ის, რომ მისი საუკუნო სასუფეველი მთაწმინდის პანთეონში უნდა იყოს. ეს არა მარტო მისი, როგორც პოეტი-გენიისა, არამედ მთელი ქართული პოეზიის, როგორც დიდებული ფენომენის, დაფასება და პატივისცემაა.

გურამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე, ომარ ძეშელაშვილი, ელგუჯა შაფაძიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები

ეს გამორჩეული ხელოვანი და მოღვაწე ნამდვილად იმსახურებს ამ დიდ ეროვნულ ჯილდოს!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ **გიორგი კვირიკაშვილს**



ფერწერასა და გრაფიკაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისთვის მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის რუსთაველის პრემიაზე წარსადგენად:

ბატონო პრემიერო,

ვლადიმერ კანდელაკი თანამედროვე ქართველ მხატვართა სახელოვანი პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება უზადო ფერწერული მანერით, მაღალი გემოვნებით, დახვეწილი ხელწერით, თემის სიახლითა და გარესამყაროს აღქმის თავისებურებით გამოირჩევა.

ვლადიმერ კანდელაკის მხატვრობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული სახვითი და გრაფიკული ხელოვნების განვითარების, მსოფლიო კულტურაში საქართველოს წვლილის გააზრების, პოსტმოდერნული მიმდინარეობების, კერძოდ, „ნონ კონფორმიზმის“ აღმოცენებისა და ღირებულებათა შკალაზე მისი ადგილის განსაზღვრის, კომუნისტური სისტემის რღვევის გენეზისის, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ჯერ კიდევ რკინის ფარდის არსებობის პირობებში კულტურული ცნობიერების ფორმირებისა და ამ პროცესში ხელოვნების მოღვაწეთა როლის წარმოჩენის თვალსაზრისით.

მხატვრის მიერ დოკუმენტური პროზის ჟანრში შექმნილმა წიგნმა „პიკის ქალმა“(2003 წ), სადაც ვლადიმერ კანდელაკი ფაქიზ ფსიქოლოგიზმს, ადამიანის ბუნებაში წვდომისა და ნააზრევის ოსტატურად გადმოცემის უნარს ავლენს – ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის საპატიო ჯილდო, „ოქროს ფრთა“ დაიმსახურა.

მხატვარმა უძველესი იარაღის, საბრძოლო და ყოფითი დანიშნულების ნივთების უნიკალური კოლექცია შექმნა, რომელიც ათასამდე დასახელების ეთნოგრაფიულ ნიმუშს შეიცავს (საბრძოლო იარაღი, საბრძოლო აღჭურვილობა, სასმისები, თასები, ყანწები, სამი კულა და სხვ.). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები მარიკა ლორთქიფანიძე და კოტე ჩოლოყაშვილი მაღალ შეფასებას აძლევენ ვლადიმერ კანდელაკის კოლექციას და აღნიშნავდნენ, რომ მთელ ამიერკავკასიაში მას ანალოგი არ დაეძებნება.

ვლადიმერ კანდელაკი საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2002 წ), ღირსების ორდენის კავალერი(2000 წ), თბილისის საპატიო მოქალაქეა (2005 წ).

ცნობილია მხატვრის ქველმოქმედება და სტუდენტებისთვის გაწეული დახმარება – წლების მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიის 10 საუკეთესო სტუდენტი მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდის სტიპენდიატი იყო.

ვლადიმერ კანდელაკის დაფინანსებით გამოიცა სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა, რომლებიც არასოდეს დაკარგავს აქტუალობას: „ქართული კულტურა“ (ინგლისურ ენაზე), სერგო ქობულაძის მონოგრაფია „ოქროს კვეთა“, ალბომი „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“ და სხვ.

ნაყოფიერი გამოდგა მხატვრის ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ფილადელფიაში, სადაც მან საეტაპო მნიშვნელობის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები შექმნა და პერსონალური გამოფენებით წარსდგა საზოგადოების წინაშე, რამაც მხატვარს წარმატება და საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ინიციატივით ორჯერ გამოიფინა ამერიკაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აზიისა თუ ევროპის ქვეყნების გალერეებში მოწყობილმა ექსპოზიციებმა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამერიკასა და საქართველოში გამოცემულია მხატვრის ფერწერული ტილოების, გრაფიკული ნამუშევრებისა და პოპ არტის კატალოგები, მისი არაერთი ნამუშევარი მსოფლიოს საუკეთესო კერძო კოლექციებსა და მუზეუმებს ამშვენებს. ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებას სწავლობენ და მის შესახებ წერილებსა თუ ანალიტიკური ხასიათის გამოკვლევებს მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალ-გაზეთებში ათავსებენ.

სამი წელია, რაც მხატვარი ამერიკიდან მშობლიურ თბილისში დაბრუნდა და თან მრავალი ნამუშევარი ჩამოიტანა – ფილადელფიაში შესრულებული ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ვლადიმერ კანდელაკის ნაყოფიერ, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზას რელიეფურად წარმოაჩენს.

ვლადიმერ კანდელაკის მოღვაწეობის ვრცელ პარამეტრებს, მის მდიდარ შემოქმედებით სპექტრს შოთა რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებიც ამშვენებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პოემის ახლებური წაკითხვისა და მხატვრულად გააზრების თვალსაზრისით.

მრავალპლანიანი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვლადიმერ კანდელაკს საკუთარი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის მსოფლიო თანამეგობრობაში ადგილის დამკვიდრებისა და საერთაშორისო ასპარეზზე პოზიტიურად წარმოჩენაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქტორო რედკოლეგია ვლადიმერ ანდროს ძე კანდელაკს – სახელოვან მხატვარს, მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და დიდი ერუდიციის მქონე პიროვნებას ყოველი ქართველისთვის საამაყო ჯილდოს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარადგენს.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრემიას ვლადიმერ კანდელაკი, უპირველეს ყოვლისა, იმსახურებს როგორც თანამედროვე მხატვრობის, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული, წარმმართველი ძალა.

ვლადიმერ კანდელაკის მხატვრობიდან მომდინარე იმპულსები ანაზდად აირეკლება საზოგადოების განწყობაზე, კათარსისის ფუნქციას ასრულებს და დადებით განწყობას აღძრავს. ნოვატორობით, სიღრმით, ფერწერული გადაწყვეტით გამორჩეული, მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი, დღეს ძალზე პოპულარული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით გვჯერა, მომავალშიც არაერთი თაობა იამაყებს.

პატივისცემით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია

(თბილისი, ივანე მაჩაბლის ქ.№7; ტ.: 2 93-37-87, 599-360-935)

სამაგალითო პიროვნება

მიმდინარე წლის 3 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული იყო სტატია ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ ნოდარ ჭითანავის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად. სტატიაში ობიექტურად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მოთხრობილია მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფო ორგანოებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ.



საჭიროა აღნიშნოს, რომ ბატონ ნოდარ ჭითანავას საქმიანობა, მისი შრომის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ქვეყნის აღორძინებისა და ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად.

ბედნიერია ერი, რომელსაც ბევრი ჰყავს ასეთი გულდაჯერებული ადამიანები, რომლებსაც გამორჩეული ნიჭით, საქმიანი თვისებებით, შესწევთ უნარი, განსაკუთრებული გავლენა იქონიონ საერთო საქმის ვითარებაზე და ქვეყნის აღორძინების საკითხებზე. მომავალში, მთავრობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, საჭიროა ამჟამად მიმდინარე პარლამენტის შემადგენლობის შერჩევის დროს მის შემადგენლობაში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ძველი და ახალი კადრების მიზანდასახულად შეხამების აუცილებლობა.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტიპის ხელმძღვანელია ჩვენი საპატიო იუბილარი, ბატონი ნოდარ ჭითანავა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ დაუზარელი, მონდომებული შრომის შედეგად შეძლო წარმატებით ემუშავა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნიდან დაწყებული მრავალი სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულების და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პასუხსაგებ თანამდებობებზე, სადაც მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია და საზოგადოების სათანადო მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მიღების პერიოდში ბატონი ნოდარი მუშაობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ბატონმა ნოდარმა, ეკონომიკური მეცნიერების დოქტორმა და უკვე საკმაოდ აღიარებულმა მეცნიერმა, თავის მრავალრიცხოვან მეცნიერულ ნაშრომებში წარმოადგინა მნიშვნელოვანი მოსაზრებები და წინადადებები ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით სოციალურ-ეკონომიკური მმართველობის სფეროში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე, რამაც სპეციალისტების საჭირო ყურადღება მიიქცია. ამასთან ერთად, საზოგადოებისა და მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრით, გაუგებარი და დასანანია, რომ ბატონი ნოდარის და მისი მსგავსი სხვა სპეციალისტების მდიდარი გამოცდილება და შესაძლებლობები სრულყოფილად არ ყოფილა (**დღესაც გ.ხ.**) გამოყენებული ქვეყნის მმართველობის რეორგანიზაციის დროს, როცა დღემდის ჯერ კიდევ ბევრი სოციალურ-ეკონომიკური საკითხი მოუგვარებელია, რაც იწვევს დამატებით პრობლემებს ქვეყნის სრულყოფილად მართვის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებში ძირითადად ახალგაზრდა, შესაბამისად გამოცდილ პერსპექტიულ კადრებთან ერთად გამოვიყენოთ ბატონი ნოდარი ჭითანავას მსგავსი მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მუშაკები, რათა ძირფესვიანად შეიცვალოს ამჟამად არსებული მდგომარეობა, რაც იწვევს საზოგადოების გაუთავებელ უკმაყოფილებას.

მე პირადად უდიდესი მადლობა უნდა ვუთხრა ბატონ ნოდარს წლების მანძილზე მეცნიერების განვითარებისა და სხვა კონკრეტულ საკითხებში მასთან საჭირო ურთიერთობისათვის, რაც როგორც ჩემთვის, ასევე სხვებისთვის იქნება სამაგალითო და დაუვიწყარი.

ბოლოს, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების მრავალრიცხოვან ვეტერანთა სახელით მთელი გულითა და სულით უნდა მივულოცო ბატონ ნოდარს, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ ხელმძღვანელს და საზოგადო მოღვაწეს, სახელოვანი 80 წლის იუბილე ძვირფას ოჯახთან ერთად, ვუსურვო ჯანმრთელობა და ახალი ახალი წარმატებები ცხოვრებაში.

გიორგი ხაზარაძე,
შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

გზა, რომელიც განახლებულ ტაძართან მიგვიყვანს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა, ქალაქ მარტვილში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი VII საუკუნეში აიგო. ტაძართან მისასვლელ გზაზე ერთ დროს არსებული ასფალტ-ბეტონის საფარი მთლიანად დაშლილი იყო. აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციის შედეგად, მომლოცველები და ტურისტები ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართან განახლებული და კომფორტული გზით მივლენ. ასევე, გაუმჯობესდება ტაძრის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნაგებობებთან მისასვლელი გზაც.

პროექტით გათვალისწინებულია: გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, ეზოში შესასვლელების, ავტომანქანების გასაჩერებელი მოედნის, კიუვეტებისა და მიერთებების მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე, საგზაო ნიშნების, ზღუდარების, მიმმართველი ბოძკინტების დამონტაჟება და სავალი ნაწილის მონიშვნა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 441 ათას 470 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

„ევროპის მოტაცება“ — ამ სათაურის ფერწერული ტილო დიდი რუსი მხატვრის ვალენტინ სეროვის ყალამს ეკუთვნის.

ხელოვნის შთაგონების წყარო კი ძველი ბერძნული მითი გამხდარა, რომლის მიხედვითაც ოლიმპოს მბრძანებელ ზევსს ფინიკიის მეფის არენოგის ულამაზესი ქალიშვილი ევროპა შეჰყვარებია, რომელიც ხარად ქცეულ ღმერთს კუნძულ კრეტაზე გაუტაცნია, ევროპა ცოლად შეურთავს, რომელსაც მეხთამტყორცნელი ზევსისთვის სამი ვაჟი უჩუქებია...

წინამდებარე წერილის შთაგონების წყარო კი თქვენი მონა-მორჩილისთვის კიდევ ერთი „ევროპის მოტაცება“ გახდა, ოღონდ ამჯერად ამ სათაურის დოკუმენტური ფილმი, რომელიც ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე ვიხილე. ფილმი, რომლითაც ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ძირძველი ევროპელი გერქვას, მაგრამ ამავე დროს ევროპელობისა აღარაფერი გეცხოს...

ახლა მავანი მეტყვის და ერთი შეხედვით მართებულადაც, რა დროს ევროპა-ამერიკაა, საკუთარ ქვეყანას მივხედოთო!..

ჰოდა, მეც მანდა ვარ, ჩემო მკითხველო!

სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!

ანუ რა ფასის გადახდა მოუწევს ევროპას თავისივე დანაშაულებრივი გულგრილობის გამო

დოდო აბაშიძის პოლიკმეისტერისა არ იყოს, „თვალი დაუდგეს ევროპასო“, ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ . მაგრამ სწორედაც რომ, ჩვენსას არ ვკითხულობთ და ისე მივექანებით „განათლებული ევროპისაკენ“, სწორედ ეს არის საგანგაშო. ევროპისკენ, რომელსაც „დაუდგეს“ კი არა, უკვე თვალიც დაუდგა და ყურიც დაეხშო და თუ დროზე გონს არ მოვეგეთ, მალე ევროპელებივით საკუთარ სახლში აღარ დაგვაყენებენ ქართველებს!

ყველაფერი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო — გაპარტახებული ევროპის ინფრასტრუქტურას და ეკონომიკას აღდგენა სჭირდებოდა და მანაც ფართოდ გაუღო კარები ძირითადად ისლამური ქვეყნების იაფ მუშახელს იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ისინი საკუთარ სამშობლოებში დაბრუნდებოდნენ, მაგრამ...

ამავე პერიოდში გააქტუალურდა ტოლერანტობის მცნება და აქედან გამომდინარე, მულტიკულტურალიზმი, რასაც დღეს უკვე ე.წ. გამოხატვის თავისუფლება, ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა, ერთსქესიანთა ქორწინებების პროპაგანდა და სხვა ნეოლიბერალური „სიკეთეები“ დაემატა.

ანუ, ლიბერალური დემოკრატია, რომელიც ოთხი რამის უარყოფაზეა დაფუძნებული: **არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა ღმერთს და არა სქესს!** ანუ, არ, ყველაფერ იმას, რაზედაც ყოველთვის იდგა კაცობრიობა — ამ არებმა დასავლეთში ლამის ახალი რელიგიის სახე მიიღო!

ამაზეა, ალბათ უპრიანი ორი ქართული ანდაზა:

„ქაჩალმა ჯერ არ მოიფხანა და მერე მოიტყავაო“ და „მეტის მეტი, რეტის რეტიო“...

ფაშიზმის, რასიზმის, ინკვიზიციის მშობელი დასავლეთი დღეს იმდენად გატოლერანტდა, რომ საკუთარ ეროვნულ-კულტურულ იდენტობას ნელ-ნელა კარგავს და ამ „ნელ-ნელამ“ უკვე ისეთი აჩქარება შეიძინა, რომ მგონი უკან დასაბრუნებელი ზღურბლი, წითელი ხაზი გადაკვეთა!

ვინც ბრმა არ არის, მისთვის ცხადია, რომ ტოლერანტობის, მულტიკულტურალიზმის იდეოლოგიამ ევროპაში სრული კრახი განიცადა!

თუმცა, კრახს ვინღა დაეძებს — ზემორე თქმული იაფი მუშახელის შემოდინება თუ აქამდე დოზირებული იყო და მეტ-ნაკლებად ექვემდებარებოდა ინტეგრირებას, აშშ-ის მიერ ე.წ. არაბული გაზაფხულების მეშვეობით დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობამ რეგიონიდან ისეთი მასშტაბის მიგრაცია გამოიწვია ევროპაში, რომ სრული კატასტროფა გარდაუვალია, რასაც რადიკალური ზომების გარდა, საეჭვოა, რომ რამემ უშველოს!

ევროპული ცივილიზაცია, უძველესი ევროპული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ქრისტიანულ რელიგიასა და მორალზეა აღმოცენებული. სწორედ ესენია მთავარი ე.წ. დასავლური ღირებულებები თუ ფასეულობები, რასაც ზემორე ნახსენები უპრეცედენტოდ მასობრივი მიგრაციიდან გამომდინარე, გარდაუვალი ტოტალური ისლამიზაცია განადგურებით ემუქრება!

დიახ, ტოტალური, თორემ ფრაგმენტული, გნებავთ, სექტორული ისლამიზაცია უკვე დიდი ხანია, ფაქტია!

პარიზის ტერაქტი სენდენის ერთ დროს პრესტიჟულ გარეუბანში დაიწყო. სენდენის, რომელიც დღეს ისლამის მიმდევრებით არის დასახლებული, ფრანგულ კანონებს არად რომ დაგიდევენ და საკუთარი, ლამის შარიათის კანონებით ცხოვრობენ, და სადაც ფრანგული პოლიცია ცხვირის შეყოფას ვერ ბედავს!..

აი, რა განაცხადა ჯერ კიდევ 2009 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ:

„გახდე ფრანგი — ნიშნავს აღიარო ცივილიზაციის ფორმა, ღირებულებები, ტრადიციები... საფრანგეთი ის ქვეყანაა, სადაც ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია და ყველას რწმენა პატივცემულია. მაგრამ ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ ქალები, პირბადის მიღმა, ტყვეებად დარჩნენ, მოკლებული იყვნენ საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის, საკუთარი იდენტობის ქონის უფლებას“

ეს განცხადება მას, პრეზიდენტის საკარძლად დაუჯდა, რამეთუ „პრადვინუტმა“ ფრანგმა ამომრჩეველმა ფრანსუა ოლანდი აირჩია პრეზიდენტად და მანაც პირველი, რაც გააკეთა, ერთნაირსქესიანთა ქორწინებები დაეკანონა დარტანიანის, მატეო ფალკონეს, ჟან ვალჟანის და სხვა მრავალი რაინდის მშობელ საფრანგეთში. და ეს იმის მიუხედავად, რომ ელისეს მინდვრებზე მილიონი ფრანგი გამოვიდა საპროტესტო აქციაზე, რომელთა პროტესტი ვინც ჯერ არს, ყურად იღო კი არა, პირიქით, აქეთ დაარბია პოლიციამ ხელკეტებით და ცრემლსადენი გაზით ოჯახებით, პატარა ბავშვებით მისული პროტესტანტები...

თუმცა, მანამდე კიდევ ერთი სულის შემძვრელი რამ მოხდა, როდესაც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში, სწორედ ზემორე თქმულის საპროტესტოდ, თავი მოიკლა ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ — ეგება ფრანგი ხალხი გონს მოეგოს, გამოფხიზლდესო! მაგრამ შენც არ მომიკვდე! ფრანგები მხოლოდ მაშინ „გამოფხიზლდნენ“, როდესაც შარლი ებდოს რედაქცია დახვრიტეს წინასწარმეტყველ მუჰამედზე გამოქვეყნებული ამაზრზენი კარიკატურით შეურაცხყოფილმა ისლამისტმა ტერორისტებმა..

მე შარლი ვარ!

ფრანგებთან ერთად აღნავლდა მთელი „პრადვინუტი“ მსოფლიო საქართველოს ჩათვლით(?!).

იგივე მოხდა ბრიუსელშიც — მოლენბეკის ცენტრალური რაიონიც, სადაც ტერაქტი მოხდა, ძირითადად ისლამის მიმდევრებით არის დასახლებული, რადგანაც ადგილობრივ მოსახლეობას იქ სიცოცხლის საფრთხის გამო აღარ დაედგომება და საცხოვრებლად ქალაქის გარეუბნებში, ან სულაც სოფლად გადადის!

ბერლინის საახალწლო ღამე?

ჯერ სად არიან, გაუპატიურებები მერე ითვალონ, როდესაც ზაფხული მოვა და მთელი ევროპა გახდილ-ჩახდილი გამოვა ქუჩაში...

ახლა მავანი მეტყვის, რა, მხოლოდ საფრანგეთ-ბელგია და გერმანიაა ევროპაო?

კი ბატონო, უკვე დაანონსდა, რომ პრაღის მთავარ მოედანზე ზაფხულის პირველ დღეს გიმართება ონანიზმის მოყვარულთა მასობრივი, საჯარო მასტრუბაცია და რა ვთქვა, უფრო სწორად, რა ჰქვია ამას?..

ამ ყველაფრის მიუხედავად თუ ჟარგონით ვიტყვით, ევროკავშირი პირველ ჩვენებას აწვება...

ერთი წამითაც არ შემწყდარა ევროკავშირის მიერ ოკეანისგაღმელი პატრონის მთავარი დირექტივის, ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონების ასრულებისთვის ქმედებები და, რა თქმა უნდა, ანტირუსული კამპანია, საინფორმაციო ომი, რომელიც სირიაში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, განსაკუთრებით თვალშისაცემია!

დიახ, გამარჯვების, რადგან, რაც ობამას 60-სუბიექტიანმა კოალიციამ ორ წელიწადში არ გააკეთა (დიახ, არ და არა ვერ), ის 6 თვეში გააკეთა რუსეთმა — მსოფლიო კულტურის საგანძური პალმირა გაათავისუფლეს და სრულიად სირიის იგილისგან გაწმენდა მხოლოდ დროის საკითხია!

ამას წინათ რუსეთმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალისტები პალმირაში შეიყვანა. მრავალთა შორის ამერიკელი ჟურნალისტებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მათ ერთხმად თქვეს უარი(?!).

უფრო სწორად, ათქმევინეს თორემ, რომელი ჭკუათამყოფელი ჟურნალისტი იტყოდა უარს პალმირას მონახულებაზე?

რა არის ეს თუ არა კლასიკური, „უჩემოდ ვინ იმღერეთა“?

რუსეთს არაერთხელ გადაურჩენია ევროპა, თუნდაც, ნაპოლეონ-ჰიტლერისაგან და ხვალ შეიძლება ისლამირებული ევროპა კვლავ გადასარჩენი გახდეს, მაგრამ, როგორც ახლავე იმუქრებიან რუსი პოლიტოლოგები, რუსეთი აღარავის გადარჩენას არ აპირებს, რადგან გადარჩენილები მხოლოდ შავი უმადურობით უპასუხებენ, რადგან ევროპის ხელისუფლებათათვის (და არა ხალხის უმრავლესობისთვის) რუსეთი მენტალურად არის მიუღებელი, რისი მთავარი მიზეზი რუსეთის მართლმადიდებლობაა!

თურმე სულ ტყუილად გვეგონა ეს მხოლოდ ქართული ფენომენი...

რუსოფობიაში ბოლო დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან პოლონეთი პირველობს!

მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ძეგლების ნგრევა, რომელთა რაოდენობა 500 აჭარბებს! მათ შორის, არც პოლონური წარმოშობის როკოსოვსკისა და ჩერნიახოვსკის ძეგლები დაინდეს...

აქედან სსრკ წითელი არმიის არა პოლონეთის ფაშიზმისგან განმანთავისუფლებად, არამედ მხოლოდ ოკუპანტად მოხსენიება — ნაცნობი სურათია, არა?

თავი დავანებოთ ძეგლებს, 600 ათასი საბჭოთა მებრძოლი შეეწირა პოლონეთის განთავისუფლებას, ცოცხლად გადარჩენილებს კი ყვავილებით ხვდებოდა პოლონელი ხალხი. ხალხი, რომლის უმეტესობა ძეგლების ნგრევის წინააღმდეგია, მაგრამ ვინ უსმენს მას?

უშუალოდ სტალინის ზეწოლით დათანხმდნენ მოკავშირეები პოლონეთისთვის გერმანული ტერიტორიების მიერთებას, რაც ჯამში 100 ათას კვ.კმ-ზე მეტია;

ყოფილი გერმანული ბრესლაუ, დღეს პოლონური ვროცლავი, ტურისტული ინდუსტრიის მთავარი პუნქტია;

სტალინისავე ბრძანებით გაასახლეს ამ ტერიტორიიდან 6 მილიონი გერმანელი და ამ ყველაფრის მერე სსრკ-ს მხოლოდ ოკუპანტად მოხსენიებას რა ჰქვია?

რა და, ერთ პოლონელ ჟურნალისტს რაც წამოსცდა RTR პირდაპირ ეთერში: „ეს ყველაფერი 2016 წლის 9 ივლისს დამთავრდება, ანუ, როდესაც ვარშავის ნატოს სამიტი დასრულდება და ობამა წავა პოლონეთიდან. აბა რა ვქნათ, აშშ-ის პრეზიდენტს საბჭოთა არმიის გენერლების ძეგლებს ხომ არ დავანახვებთო“?..

აქ, როგორც იტყვიან, უკომენტაროდ...

რუსეთს არაერთხელ გადაურჩენია ევროპა, თუნდაც, ნაპოლეონ-ჰიტლერისაგან და ხვალ შეიძლება ისლამირებული ევროპა კვლავ გადასარჩენი გახდეს, მაგრამ, როგორც ახლავე იმუქრებიან რუსი პოლიტოლოგები, რუსეთი აღარავის გადარჩენას არ აპირებს, რადგან გადარჩენილები მხოლოდ შავი უმადურობით უპასუხებენ, რადგან ევროპის ხელისუფლებათათვის (და არა ხალხის უმრავლესობისთვის) რუსეთი მენტალურად არის მიუღებელი, რისი მთავარი მიზეზი რუსეთის მართლმადიდებლობაა!

* * *

წერილის ბოლოს ქართველი ნეოლიბერალი ხლისტების და ტელემეძავი წამყვანების საყურადღებოდ, რომლებიც ცინიკურ კითხვებს სვამენ:

რას ნიშნავს, ქართველობას გვართმევენ, რა მოხდა მერე თუ ქართულ მიწას ვინმეს მივყიდით, ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ, ან კლასიკური ცინიზმი — ჰომოსექსუალიზმი, ერთნაირსქესიანი ქორწინებები გადამდებია?

და ა.შ.

რაც ევროპას დაემართა, ეს არის სწორედ „ქართველობას გვართმევენ“ — პარიზში ჩახვალ და თავი აფრიკაში გეგონება, ბერლინში, თურქეთში, ბრიუსელში ორივეში ერთად და პლუს არაბეთში;

სწორედაც რომ, გადამდებია დაკანონებული სოდომის ცოდვა, რადგან, როცა ქართველი საზოგადოება პომადიანი ბიჭების საჯარო „ზასაობას“ გულისრევის გარეშე შეხედავს, აქედან ერთი ნაბიჯია იმ გარყვნილების რელიგიამდე, რომელშიც იხრჩობა ერთ დროს პურიტანულ-კონსერვატიული ევროპა;

ევროპაც გეოგრაფიულად ისევ იქ არის, არავის მოუკიდებია ზურგზე, მიწა არავის მოუტაცნია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპელებმა ზდმეტი ტოლერანტობა, გამოხატვის თავისუფლება, კუჭის ფილოსოფია ანაცვალეს ქრისტიანულ მორალს, მათი სულიერება განადგურდა და მალე გადამთიელი მიიტაცებს მათს სამშობლოსაც!

ეს არის ის მძიმე ფასი, რომლის გადახდაც მოუწევს დავარცხნილ ევროპას დანაშაულებრივი გულგრილობის გამო და სულაც არ მინდა, რომ მსგავსი ფასის გადახდა ჩემს სამშობლოსაც მოუწიოს, თორემ საქართველოში სიტყვა ტოლერანტობა არც არსებობდა, როცა შემწყნარებლობის, რაინდობის, ქალ-ვაჟთა თანასწორობის სახარება მივეცით მსოფლიოს ვეფხისტყაოსნის სახით — არავინ და არასდროს ყოფილა ჩვენში ვინმე რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით ჩაგრული!

დასავლეთში შობილი ტერმინი ე.წ. სინდისის თავისუფლება, არ ნიშნავს უსინდისობის, გარყვნილების თავისუფლებას...

დავით მხეიძე.

ცრუქაქუნა მახოდალები და გაკაპასებული ხოდილები

ზოგიერთი მკითხველის ყურს, იქნებ, ეუცხოვა კიდეც სათაურში გამოტანილი ტერმინები: მახოდალები და ხოდილები. არა და, ორივე ძირძველი ქართული სიტყვაა. ეგ არის, ახლა ამ სიტყვებს საქართველოს ერთი დიდი კუთხის მკვიდრები იყენებენ მხოლოდ, დანარჩენებმა აღარ იციან მათი შინაარსი და კარგი იქნება აწი მაინც თუ ეცოდინებათ. სხვა თუ არაფერი, თბილისიდან ზუგდიდში ან სენაკში ჩასულებს ის მაინც არ გაუკვირდებათ, ვინმე ცნობისმოყვარემ რომ ჰკითხოთ: ჩვენი მახოდალი პრეზიდენტი როგორ ბრძანდებაო? ან ხოდილი პოლიტიკოსების რაოდენობა ხომ არ გაზრდილაო ამ ბოლო ხანებში?

არ იფიქროთ, მკითხველის ლინგვისტური განათლება იყოს ჩემი მიზანი ამჯერად. ჯერ ერთი, ძალიან მინდა, ქართულ ლექსიკას მივიწყებული სიტყვები დაუბრუნდეს და, მერე, ჩემს ამჟამინდელ სათქმელს ძალიან მოუხდება ზემოთ ნახსენები „ახალი“ ტერმინები, თორემა მათი სინონიმების მეტი რა გვაქვს ახლანდელ ქართულში! აბა, ნახეთ, როგორ პროზაულად ჟღერს „მოსექსავე პრეზიდენტი“ და რა პოეტურად – „მახოდალი პრეზიდენტი!“ ხომ ასეა? ანდა, განა „ხოდილი პოლიტიკოსი“ უფრო სოლიდური ეპითეტი არ არის, ვიდრე „მოსექსილი პოლიტიკოსი“?

ჰო და, სწორედ ამიტომ მივმართე ჩვენი ისტორიული ლექსიკის ამოუწყავ სალაროს. მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, „არა, სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი, ...წვიმა რაა, წვიმასაც კი აქვს სახელი ცხრა“. თქვე კაი ხალხო, წვიმას თუ ცხრა სახელი აქვს, ადამიანის გაკეთების ხელობას არ ექნებოდა ქართული სახელი, ყველას რომ პირზე აკერია სექსი და სექსი... აქვს და მეტი არა! მაგრამ, რად გინდა, რა, ზრდილობის ტაბუ ადევს ყველას. ახლა რომ თქვა სადმე, ვინმეზე, რა კარგი მოსატ...ვიაო, შეიძლება თავგაუტეხელმა ვერ გაასწრო იქიდან, მაგრამ, თუ ეტყვი ვინმეს, რა სექსუალური ხარო, – კომპლიმენტად ჩაგითვლიან და შეიძლება მადლობაც გითხრან.

ასეა, რა!

ამიტომ გამიკვირდა ძალიან ის „საყოველთაო“ აღშფოთება და შეშფოთება, რაც ე. წ. ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებამ გამოიწვია ჩვენს დემოტრაკებში – მკბენარივით მოდებულ არასამთავრობოებში. რა საიდუმლო გაუმჟღავნეს ისეთი, ამ ჩვენს იმნაირებს, რომლის გამჟღავნება, თურმე, კრიმინალურ დანაშაულად ითვლება ცივილიზებულ სამყაროში, ანუ დასავლეთში, საითაც ჩვენი ხელისუფლება და მისი შნირები მუხლჩაუხრელად მიისწრაფვიან.

რა გაამჟღავნეს და, ჩვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ათასნაირი სექსაობა გადაუღიაოთო, თურმე, ჩუმად. მერე და ჟიმაობა ეკრძალებათ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს? ეკრძალებათ კი არა, სავალდებულოც კი არის. აი, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტად უცოლშვილო კაცს არავინ აირჩევს. წესია იქ ასეთი. აბა, კაცს, რომელსაც ოჯახი ვერ შეუქმნია, შვილებისა და მეუღლის სიყვარული და ერთგულება არ იცის, სამასი მილიონი კაცის ბედი როგორ უნდა ანდო? არც ანდობენ! აბა, სექსი თუ აუკრძალეს, შვილები ციდან ხომ არ ჩამოუფრინდებიან პრეზიდენტებსა და მინისტრებს. არა, ბატონო, სექსი კი არ არის აკრძალული, ოჯახის ღალატია დანაშაული! ე, კლინტონს რომ დაემართა, აშშ-ის პრეზიდენტს, გეცოდინებათ ალბათ: თავის მდივან ქალთან, მონიკასთან შესცოდა თურმე, რაც იგივე მონიკამ გაუბაზრა. მერე რა მოხდა, ხომ ნახეთ: აშშ-ის საზოგადოებამ, მასმედიამ კინაღამ ჩაქოლეს საწყალი. სახლში კი, როგორც ამბობენ, ჰილარი კლინტონმა, პრეზიდენტის ცოლმა სულ თავში უბრაგუნა თურმე. მერე ის იყო, პრეზიდენტი ბილი თავზე ნაცარწაყრილი გამოვიდა, ოჯახსაც და საზოგადოებასაც ბოდიში მოუხადა და იპმიჩმენტს გადარჩა.

ახლა, პაპარაცები რას სჩადიან, ნახეთ ერთი! ანგელა მერკელი ახლადარჩეული იყო გერმანიის კანცლერად, როცა ერთ ავდრიან დღეს ქარმა კაბა ისე აუფრიალა, რომ მთლიანად გამოუჩნდა ბიკინიანი უკანალი, რომელიც სადღაც იქვე ჩასაფრებულმა პაპარაცმა გადაიღო. ამ ფოტომ მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლები მოიარა და კანცლერის პოლიტიკური კარიერა კინაღამ იმსხვერპლა, რადგან შიშველ ტრაკამოგდებული კანცლერი გერმანის სირცხვილი იყო. ბოლოს, გულმოწყალე დემოკრატმა გერმანელებმა ყველაფერი მაინც ქარს დააბრალეს და კანცლერი პოლიტიკურად გადარჩა.

არც პაპარაცზე და არც პრესაზე საყვედური არავის დასცდენია. შეშინებული მერკელი მას უკან კაბას აღარ იცვამს, სულ შარვლით დადის, ე, მანდ კიდევ არ გამომიჩნდეს უკანალიო.

აქ, ჩვენთან? ეტყობა მაგრად გავასწარით აშშ-საც და ევროპასაც ცივილიზაციის გზაზე. აქ ჩვენი დემოტრაკები იმაზე კი არ ჯავრობენ, ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათი ახლობლები ოჯახის, მეუღლისა და შვილების მოღალატეები რომ ყოფილან, არამედ იმაზე ჩივიან, ჩვენი და ჩვენნაირების პირადი ბოზობა (ცხოვრება, რა!) და ჩათლახობა რატომ გააბაზრესო. ამიტომ, თანამდებობაზე მყოფი ბოზის დასჯას კი არ ითხოვენ, არამედ იმისას, ვინც ეს ბოზობა ხალხს გააგებინა.

პირადი ცხოვრება ხელშეუხებელიაო, მე რასაც მინდა იმას, ვიზამო, „შენ რა გინდა ჩემო ქმარო, მე რომ ჩემი მოვიხმაროო“, – გაჰკივიან. კი, ბატონო! მაგრამ, ნეტავი ვის აინტერესებს იმ ბოზების ჟიმაობა, ცირკთან რომ დგანან პანელზე, მაგრამ მე რომ ხმა მოგეცი, ჩემი უფლებების დიდი ნაწილი გადმოგეცი და პარლამენტში დაგსვი, არ უნდა მაინტერესებდეს ზნეობრივი ვინმე ხარ თუ უზნეო? თუ არ მაინტერესებს და ჩემთვის სულ ერთია რისი მქნელი ხარ, მე ვყოფილვარ მაშინ ჭკუანაკლული! ასეთი ჭკუანაკლულები იმ თქვენს საოცნებო ამერიკა-ევროპაში რომ არ არიან, რაღა მაინცდამაინც აქ გინდათ რომ იყვნენ, თქვე მართლა ბოზების უსტაბაშო არასამთავრობოებო და ობერ უსტაბაშო „სახალხო დამცველო“(?!); ისემც შენი ასე და ისე, შენ სახალხო დამცველი არ იყო!

აქამდე რაც ვთქვი, ასჯერ გვაქვს ნათქვამი და დაწერილი, მეც და სხვებსაც და ამის სათქმელად არ შეგაწუხებდით, მაგრამ ისეთი საოცრება მოხდა იმ ფარული ჩანაწერების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, რომ მართლა გავვოცდი და ჩემი გაოცება მინდა თქვენც გაგიზიაროთ.



რამ გამაოცა, იცით? არც მინახავს და არც სხვისგან მსმენია, რომ ცოლიანი ახალგაზრდა მამაკაცი საჯაროდ, სხვათა გასაგონად, გულზე მჯიღს იცემდეს და კიოდეს მახოდარი ვარო. ცოლიან ახალგაზრდა კაცს თუ ქალთან საწოლში წოლა მარტო ძილისთვის უნდა, ხმამაღლა კი არ უნდა იყვიროს, ექიმს უნდა მიმართოს. ყველა დანარჩენი კაცი, იგულისხმება რომ მახოდარია; ზოგი ინტენსიურად ეწევა ამ საქმიანობას, ზოგი ზომიერად, მაგრამ ჯერ არ გამიგია კაცი მეზობლებში ტრაბახობდეს, ჩემს ცოლს ყოველღამე 3-4-ჯერ ვჟიმავო. თუ ვინმეს ღმერთი გაუწყრა და ამგვარად წაიტრაბახა, მისი მახოდალობა მაშინვე ეჭვქვეშ დადგება და იმ სულელს ცრუქაქუნას სახელი დაერქმევა უთუოდ.

ჩვენი პრეზიდენტი კი გამოხტა და საქვეყნოდ იყვირა: სექსი სირცხვილი როდია (ვინ თქვა სირცხვილიაო, ნეტავი?), მე, მაგალითად, ძალიან მდიდარი სექსი მქონდა, მაქვს და მომავალშიც მექნებაო. ღმერთმა შეაძლებინოს, მაგრამ რასაა რომ ტრაბახობს ეს ამხელა ჯეელი? მაგის ხნისა რომ იყო ბაბუაჩემი, ათი შვილი ჰყავდა უკვე; სხვათაშორის, ერთ ქალთან! არავის გაუგონია მისგან მახოდალი ვარო. ამას ორ ქალთან ორ შვილი ჰყავს, კარგა დიდი ინტერვალით და ეგ არის სატრაბახო? ცრუქაქუნა მახოდალია ნამდვილად!

კი, მაგრამ, მართლა ჩვეულებრივ ცოლქმრული ურთიერთობის მონაწილეებს იცავს პრეზიდენტი შერცხვენისაგან? ეს თუ ასეა, მაშინ ქვეყნის მეთაური შეურაცხადი ყოფილა. არა და ასეთი არ არის. შეურაცხადი რომ იყოს, იმ მდიდრულ სასახლეს კბილებით კი არ იქნება ჩაფრენილი!

მაშ, ვის დასაცავად გაიგიჟა თავი ამ ცრუქაქუნა მახოდალმა? ბოზებისა და ჩათლახების, ანუ მასავით „პრადვინუტებისათვის“ გამოიდო თავი, ანუ ევროპელები ვართ და არაფრის გვრცხვენიაო. კაი, ბატონო, ნუ გრცხვენიათ, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები აღარ ხართ! ისე კი, ერთი ბერიკაცისა არ იყოს, იტრაბახეთ რამდენიც გინდათ.

ეს საქმე კი როგორ იყო, იცით?

ექიმთან ერთი 90 წელს მიტანებული კაცი მივიდა. მიშველე რამე, ექიმოო. რა გაწუხებსო, ექიმმა. რაღა რა მაწუხებს, ქალთან კვირაში ერთხელ ძლივს ვახერხებ რაღაცასო. რამდენი წლის ხარო, ექიმმა. 90-ის ვხდები მალეო. მერე რაღა გინდა, შე კაცო, შენი ხნის კაცი მაგას რომ ახერხებ, არ გიკვრისო? – გაიოცა ექიმმა. ჩემი მეზობელი ჩემზე ორი წლით უფროსია და ამბობს, ყოველღამე მივდივარ ქალთანო, – მოწყენით უთხრა მოხუცმა. მერე შენც თქვი ეგრე, ვინ გიშლის ნეტავიო, – ურჩია ექიმმა და დაემშვიდობა.

ასე თუ ისე, ტრაბახა მახოდალები, ანუ ცრუქაქუნები მინახავს, მაგრამ ხოდილები რომ კაპასობდნენ და თავიანთი ხოდილობით მოჰქონდეთ თავი, ახლა ვნახე პირველად. ერთი ხოდილი იმაზე კაპასობდა, ძალიან ხშირად ვარ ხოდილი და გასკდით გულზეო. მისმა კაპასობამაც ერთი ანეკდოტი გამახსენა:

ადრე ავტობუსში წინა კარიდან ასვლის ნება მხოლოდ ინვალიდებსა და ფეხმძიმე ქალებს ჰქონდათ. ამ დროს, ერთი ახალგაზრდა ქალი წინა კარიდან ავიდა. ერთმა მგზავრმა ქალმა საყვედური უთხრა, რატომ არღვევთ წესსო. ფეხმძიმე ვარო, – უპასუხა წესის დამრღვევმა. ქალბატონო, მუცელზე არაფერი გეტყობა, ისე, წუხანდელი ხოდილი ყველანი ვართ ჩვენო. ასეა იმ გაკაპასებული ცნობადი ხოდილის საქმე. რამდენჯერაც გინდა იმდენჯერ იყავი ხოდილი, მაგრამ მერე ტელეეკრანიდან ხალხის დამოძღვრას ნულარ დაიწყებ, რადგან თავის ხოდილობაზე რომ იტრაბახებს ქალი, იმან მერე სტრატეგიულ პრობლემატიკაზე აღარ უნდა ილაპარაკოს.

ცრუქაქუნა მახოდარები და კაპასი ხოდილები ყველგან არიან, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის ლიდერობაზე არ აქვთ პრეტენზია. ჩვენთან კი სწორედ მათ მიჰყავთ პარადი.

ზურაბ ცუცქირიძე.

P. S. ერთი რამე ვერ გავიგე: რას გულისხმობს ეს ჩვენი ცრუქაქუნა მახოდალი, მდიდრული სექსი მაქვსო, რომ ამბობს. როგორც ბატონი თამაზ წივწივაძე ერთობ სერიოზულად შენიშნავს, თუ მასაც აძლევენ (ცოლები, ალბათ!) და თვითონაც აძლევს და ეს მიაჩნია მდიდრულ სექსად, მაშინ მისი იპმიჩმენტია საჭირო, რადგან ქვეყნის პრეზიდენტი სხვას არაფერს უნდა აძლევდეს, არც საკუთარი სხეულის ნაწილსო, რადგან იგი თავიან-ფეხიანა თავის ქვეყანას ეკუთვნის, ვიდრე სასახლიდან არ გამოუბუნძულებიათო. ასე მგონია მეც.

ზ. ც.

◎ კაკალ გულში

წაეთრნენ, საიდანაც მოთრეულან!...

● **NDI-მ ახალმთვარეობაზე იცის გამოჩენა! ნიორი და ხის სოლები უნდა მოვიმარაგოთ!!! ამბობენ, ნაკურთხი წყალი უნდა შეასხაო, მარა სად გინდა წააწყდე?**

● **ეს NDI რა მოუშორებელი ჭირი გახდა (ტო)!**

არ შეიძლება, თავაზიანად ვთხოვოთ, რომ წაეთრნენ, საიდანაც მოთრეულან?!

● **„კომედი შოუში“ იყო სკეტჩი საბავშვო ბაღის დირექტორებზე. სკეტჩზე არაფერს ვიტყვი, იმიტომ რომ ძაალიან უნიჭოდ დაწერილი სცენარი იყო, მაგრამ დასასრული ნამდვილად კარგი გამოუვიდათ. პირდაპირ აჩვენეს ნაცების ნამდვილი სახე. განთავისუფლებული დირექტორი ბაღის შენობას ანგრევს, ანუ თუ მე არ ვიქნები უფროსი, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილაო.**

● **საოცრად „მდიდარი“ პოლიტიკური ცხოვრებაა საქართველოში. იმის ნაცვლად, რომ პარტიები თავიანთ პროგრამებს, თავიანთ ხედვებს გვეუბნებოდნენ, ეწეოდნენ პარტიულ მრუშობას, ხვდებოდნენ საზოგადოებას, დგანან და ან ფარულ ჩანაწერების გადაღება-გავრცელებას აბრალებენ ერთმანეთს (ამ შემთხვევაში ორი ორგანიზაცია, რადგანაც დანარჩენებს ხელი არ მიუწვდებოდათ), ან საარჩევნო კანონის შეცვლა-არშეცვლის შესახებ ნაყავენ წყალს.**

ასეთი ონანიზმით მივლენ არჩევნებამდე და ზუსტად ის შედეგი უნდა მიიღონ, რასაც თავიანთი „საქმიანობით“ იმსახურებენ!!!

● **ამ „ფარული“ კადრების საქმე („ფარული“ იმიტომ ჩავსვი ბრჭყალებში, რომ მთელმა საქართველომ იცის და ბახრეინის მოქალაქეებს ნამდვილად არ აინტერესებთ) დაემგვანა ბანალურ სიტუაციას:**

ტიპმა მოპარა ნივთი, გაყიდა და ბარიგა დაიჭირეს. გაირკვა, რომ მომპარავიც და ბარიგაც ერთი ბანდის წევრები არიან. ბუნებრივია ქურდიც და ნაქურდალის მყიდველიც დამნა შავეები არიან, მაგრამ ბანდის მეთაური იძახის: ჩემი ბანდის წევრებმა კი მოიპარეს, მაგრამ არ გამიბაზრებიაო. ის ბარიგა თქვენთან იყო შეკრული და მაგიტო გაბაზრდა. აი მე რომ პოლიციის უფროსი გავხდები, იმ მომპარავსაც, ბარიგასაც და თქვენც ყველას დაგიჭერთო!

● **რატიფიცირება უფრო გიყვართ თუ პარაფირება? – ოღონდ გულახდილად.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ი. სტალინი და ლ.ბერია სოჭში, „სახელმწიფო აგარაკზე“

სამხედროების შეთქმულება

გადავხედე რა თავიდან პროცესებზე მათ გამოსვლებსა და იმას, რასაც მაშინ ვწერდი, ვხედავ, რომ ჩვენთვის ცნობილი იმ გერმანული „მეხუთე კოლონის“ ყველა მოქმედება, არსებითად გახსნილი იყო და გამოაშკარავებული რუსი კვისლინგების თვითმხილებით. ახლა უკვე სრულიად აშკარაა ყველა ის პროცესი, წმენდა და ლიკვიდირება, რაც თავის დროს ასეთი მკაცრი და შოკისმომგვრელი ჩანდა, იყო სტალინური ხელისუფლების თავდაცვის გადამწყვეტი და ენერგიული ძალისხმევა, არა მხოლოდ ქვეყნის მოღალატე ელემენტებისაგან, ხელისუფლებამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის გათავისუფლების საქმეს — 1941 წელს ქვეყანაში უკვე აღარ იყვნენ „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები — ისინი უკვე განადგურებულები იყვნენ.

წმენდამ ქვეყანაში დაამყარა წესრიგი, გაათავისუფლა ქვეყანა მოღალატეებისაგან“.

ამონარიდი საიერსისა და კანას წიგნიდან: „დიდმა სამამულო ომმა მრავალი ნიჭიერი მხედართმთავარი გამოავლინა. ხალხის საყვარელი, დიდებით მოსილი გმირები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ“. განა შეიძლება შეადარო ტუხაჩევსკის პოპულარულობა ჟუკოვისა და როკოსოვსკისადმი ხალხის სიყვარულს და პოპულარობას? მაგრამ სტალინს არათუ არ გაუნადგურებია ხალხის ის საყვარული გმირები, არამედ პატივითა და დიდებით შემოსა და არა მხოლოდ ისინი, არამედ ბევრი სხვაც... საერთოდაც, სტალინის წარმოსახვა ივან გროზნოდ, არ ეკადრება თანამედროვე მწერალს, ვინაიდან სტალინი ისეთი არასოდეს ყოფილა“.

დიახ, სტალინი შეურიგებელი იყო მტრების მიმართ, მაგრამ არასოდეს არაფერს აკეთებდა საკუთარი სურვილისა და განწყობის მიხედვით. მას მხოლოდ ერთი გრძნობა — სამშობლოს სიყვარული ამოძრავებდა, მისი სიკეთე და აყვავება.

* * *

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ ვაპირებ ბრალი დავდო, დავადანაშაულო ტუხაჩევსკი, ეჭვი მე მხოლოდ მის მორალურ შეუბღალაობაში შემაქვს. ძირითადად მე ძალიან უცნაურად მეჩვენება გამარლიკის თვითმკვლელობა და ტუხაჩევსკის ის დაბნეულობა, ის დათრგუნულობა მისი სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ. თუ ის ცუდში არაფერში იყო გარეული, მაშინ რატომ შეაძრწუნა, რატომ დასცა ამან ასეთი თავზარი?

ადამიანი მხოლოდ მაშინ მიჰყავს ამ მდგომარეობამდე გამოაშკარავების და დაჭერის შიშს, როცა დამნაშავეა.

აი, რას წერს გენერალ-ლეიტენანტი ერმოლინი პარტკონფერენციაზე ტუხაჩევსკისთან შეხვედრის შესახებ ქ. კუიბიშევში მისი პრიველსკის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშვნის შემდეგ: „იგრძნობოდა, რომ მიხაილ ნიკოლაევიჩი გუნებაზე ვერ იყო. პრეზიდიუმის მაგიდასთან მის სიახლოვეს მჯდომი ჩუმად ვაკვირდებოდი, საფთქლებთან თმა როგორ გაჭაღარავებოდა, როგორ შეშუპებოდა თვალები. ზოგჯერ თვალებს ისე დახრიდე, გეგონება სინათლემ თვალი მოსჭრაო, თან მაგიდისკენ თავწახრილი ფანქარს ხელში უაზროდ ატრიალებდა... მე მასზე დაკვირვება სხვა ვითარებებშიაც მომიწია, მათ შორის ვარშავიდან უკანდახევის მწარე დღეებშიც, მაგრამ, მე ის ასეთი არასოდეს მინახავს“.

სოჭი. სტალინის აგარაკი

ასეა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, არის აღმაფრენა და არის მიწაზე დაცემა — მაგრამ ადამიანს სინდისი თუ სუფთა აქვს, სულიერად არათუ ეცემა არასოდეს, არამედ ცდილობს დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

თავს უფლებას მივცემ, რათა მაგალითისთვის ერთი ასეთი შემთხვევა გავიხსენო:

1947 წელს ნ.გ. კუზნეცოვი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის თანამდებობიდან მოხსნეს და დიდი დაქვეითებით სამუშაოდ ლენინგრადში გაუშვეს, მაგრამ, არათუ სულით არ დაცემულა, სულიერი წონასწორობა არ დაუკარგავს, არამედ პირიქით, ახალ თანამდებობაზე მუშაობას ხელი ჩვეული ენერგიით მოჰკიდა, ვინაიდან, მისი სინდისი სუფთა იყო და შეეძლო საკუთარი მომავლის შიში არ ჰქონოდა. მართლაც, 1948 წელს ის უკვე საზღვაო-სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე იქნა დანიშნული და ეს ყველაფერი ეგრეთ წოდებულ „პიროვნების კულტის“ წლებში.

რაც შეეხება ტუხაჩევსკის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იგი ბენეშის მიერ სტალინისთვის გადაცემული დოკუმენტის საფუძველზე იქნა დადანაშაულებული, მაგრამ ჰიტლერის აგენტების იმ საკმაოდ საეჭვო მტკიცების გამო, თითქოს ბენეშის მიერ გადმოცემული დოკუმენტი ყალბი იყო, რეაბილიტირებული იქნა.

შეიძლება იმის დაჯერება, რომ ის დოკუმენტი ნამდვილად ყალბი იყო? არა, არა მგონია...

ნიკოლაი ვლასიკის ჩანაწერები

გამგზავრება სამხრეთში

სტალინს სამხრეთში გამგზავრებისას მუდამ თან ვახლდი და ვინაიდან მასთან ახლოს ვიყავი, ერთადაც ვსადილობდით და თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებდით — მხედველობაში ჩემი თავი და მისი მდივანი პოსკრიბშევიც მყავს. მოსკოვში სტალინს გაცილებით იშვიათად ვხედავდი. მხოლოდ ქალაქსა თუ კინოთეატრებში წასვლა-მოსვლის დროს ვახლდი თან.

ვიდრე ა.მ. გორკი ცოცხალი იყო, სტალინი მას ხშირად ხვდებოდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, სტალინს ის ძალიან უყვარდა და როგორც აგარაკზე, ისე ქალაქში გორკი მასთან ხშირად მოდიოდა. მე ამის მოწმე ვარ. სტალინი ასევე ხშირად ღებულობდა უცხოელებსაც. მასთან დადიოდნენ რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, ლიონ ფეიხტვანგერი, პალმირო ტოლიატი და სხვა. თუმცა, ამ შეხვედრებს მე არ ვესწრებოდი ყოველთვის.

სამხრეთში სტალინი ყოველ წელს მიდიოდა. მინდა, ერთ-ერთი ასეთი გამგზავრების შესახებ დაწვრილებით მოგიყვეთ, ვინაიდან ეს მარშრუტი სრულიად უჩვეულო იყო. 1947 წელს, აგვისტოში (რიცხვი არ მახსოვს), სტალინმა გამომიძახა და მითხრა, რომ სამხრეთში უნდა წავსულიყავით, ოღონდ ჩვეულებრივ მატარებლით კი არა, როგორც ყოველთვის, არამედ ხარკოვამდე მანქანით უნდა გვემგზავრა, ხოლო ხარკოვიდან მატარებლით წავიდოდით.

ძნელია ჩემი სიხარული სიტყვებით გამოვხატო: სტალინი წინანდებურად მენდობა, როგორც წინა წლებში, ახლაც თან ვახლდები, მგზავრების ორგანიზება მთლიანად მე მანდო-მეთქი. უნდა გითხრათ, 1946 წელს ჩემმა მტრებმა და მოშურნეებმა, რომლებც არც ისე ცოტანი იყვნენ, ცილი დამწამეს და სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან მომხსნეს. სტალინი ამ საქმეს დიდი გულისყურით მოეკიდა, პირადად თვითონ გაერკვა ჩემ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებში და რომ ნახა, სრულიად უდანაშაულო ვიყავი, ისევ ძველებურად განეწყო ჩემ მიმართ.

მგზავრობის გეგმა საგულდაგულოდ მოვიფიქრე, მინისტრს რჩევა ვკითხე, მან ჩემი გეგმა მოიწონა და მხოლოდ ამის შემდეგ წარვუდგინე სტალინს.

ვფიქრობდი, მანქანით ასეთი ხანგრძლივი მგზავრობა მისთვის დამქანცველი იქნებოდა, ამიტომაც შევეცადე, დამერწმუნებინა, რათა უარი ეთქვა მანქანით მგზავრობაზე, მაგრამ მან ჩემი მოსმენაც არ ინება, გეგმა მოიწონა და მეც ამ საპასუხისმგებლო მგზავრობისთვის მზადებას შევუდექი. ქალაქიდან რომ გავედით, მგონი, 16 აგვისტო იყო. ხარკოვამდე სამი გაჩერება გვქონდა — შჩეკინში, ორლოვსა და კურსკში. გაჩერებებზე ყველაფერი ძალიან უბრალოდ, ძალიან მოკრძალებულად იყო, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, რაც სტალინს ძალიან მოსწონდა.

* * *

შჩეკინსა და კურსკში სტალინმა ქალაქში გაისეირნა. ტულასა და ორლოვს შორის გზაში „პაკარდზე“ საბურავები გადაგვიხურდა. სტალინმა მიბრძანა, მანქანა გამეჩერებინა და მითხრა, რომ ცოტას ფეხით გაივლიდა, მძღოლი ამასობაში საბურავებს გამოცვლიდა და დაგვეწეოდა.

შარაგზაზე ცოტა რომ გავიარეთ, გზის პირას გაჩერებული სამი სატვირთო მანქანა დავინახეთ, რომელთაგან ერთ-ერთს მძღოლი ასევე საბურავებს უცვლიდა.

სტალინის დანახვაზე მუშები ისე დაიბნენ, ისეთი მოულოდნელი იყო შარაგზაზე მისი გამოჩენა, თანაც ფეხით მოსიარულესი, რომ გაოგნებულები, თვალებს ვერ უჯერებდნენ. გვერდით რომ ჩავუარეთ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ და — რა ბედნიერებაა, სტალინი ასე ახლოს ვნახეო! — გაიძახოდნენ.

ცოტა რომ გავიარეთ, 11-12 წლის ბიჭუნა შეგვხვდა. სტალინი გაჩერდა, ბიჭს ხელი გაუწოდა და ეუბნება: „მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი, რა გქვია, სად მიდიხარ? „ვოვა მქვია. მეოთხე კლასში ვარ. ხუთებსა და ოთხებზე ვსწავლობ“ , — უთხრა ბიჭმა.

ამასობაში მანქანაც წამოგვეწია, ვოვას გამოვემშვიდობეთ და გზა განვაგრძეთ. ამ გაჩერების შემდეგ სტალინი გადაჯდა „ზის-110“-ზე. ეს მანქანა ძალიან მოეწონა და მთელი ის შვებულება მხოლოდ იმ მშობლიური „ზისით“ მგზავრობდა. ორლოვში შევჩერდით, ცოტა დავისვენეთ, ნამგზავრებმა დავიბანეთ, ვისადილეთ და გზა განვაგრძეთ. შემდეგი ჩვენი გაჩერება კურსკში იყო. დასასვენებლად ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი ჩეკისტის ბინაში გავჩერდით. სუფთა ბინა იყო, მყუდრო, დივანს ზემოთ თაროზე ფაიფურის ბევრი სამშვენისი იდო, სარკის სადგარზე სუნამოს ბევრი ლამაზი ფლაკონი იდგა. სტალინმა ბინა ყურადღებით დაათვალიერა, ხელი შეავლო თაროზე დადგმულ სამშვენისებს, გაიცინა, ხოლო როცა დავისვენეთ და წასასვლელად გავემზადეთ, მკითხა, დიასახლისს სახსოვრად რა დავუტოვოთ, იქნებ ოდეკოლონი გვქონდესო? საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ გვქონდა ოდეკოლონი, თან ლამაზი ფლაკონი. სტალინმა ოდეკოლონი თვითონ შეიტანა იმ საძინებელში, სადაც ისვენებდა და სარკის წინ სადგარზე დადგა.

* * *

დამქანცველი გზის მიუხედავად (მოსკოვიდან საღამოს რომ გამოვედით, მთელი ის ღამე და ის დღე ვიმგზავრეთ), სტალინს მხოლოდ ორი საათი ეძინა, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდა, განწყობა შესანიშნავი ჰქონდა, რითაც ჩვენ ყველანი ძალიან გახარებულები ვიყავით.

საუბრისას თქვა, რომ მანქანით წამოსვლის გამო დიდად ნასიამოვნებია, ბევრი კარგი რამ ნახა, ნახა როგორ აშენებენ ქალაქებს, იღებენ მოსავალს, ნახა, როგორია ჩვენი გზები, რასაც კაბინეტიდან ვერ ნახავდა. გზებთან დაკავშირებით თქვა, რომ მოსკოვიდან რაც შეიძლება კარგი გზა უნდა გაკეთდეს, უნდა დაიყოს უბნებად, დაყენდეს ყარაულები და მათთვის პატარა სახლები აშენდეს. ასევე დაურიგდეთ მიწის პატარა ნაკვეთები, რათა ის ყველაფერი ჰქონდეთ, რაც აუცილებელია, მაშინ დაინტერესებულები იქნებიან და კარგად მოუვლიან გზას. უნდა მოეწყოს გზისპირებში ბენზინის ჩასასხმელი სვეტები, ვინაიდან, მალე ამ გზებზე ბევრი მანქანა ივლის, მხოლოდ ქალაქებში კი არა, სოფლებშიც.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 65-67

***მეორე მსოფლიო** ომის დასასრულს საბჭოთა კავშირმა ატომურ პროექტზე სამუშაოდ გერმანიიდან ჩამოიყვანა ფიზიკური ქიმიის, რადიოქიმიის, ბირთვული ფიზიკის და, საერთოდ, ფიზიკა-ქიმიის დარგის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების დიდი ჯგუფი. ასევე, კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის გამოცდილების მქონე, მაღალი კვალიფიკაციის მინამბერები, ხარატები, ელექტროტექნიკოსები და სხვ. მეცნიერთა შორის იყვნენ საერთაშორისო აღიარების მკვლევარები: რასტრული (მასკანირებელი) ელექტრონული მიკროსკოპის შემქმნელი (1937 წ.) მანფრედ ფონ არდენე, გუსტავ ლუდვიგ ჰერცი (ექსპერიმენტული გზით ატომის შინაგანი ენერგიის დისკრეტული ბუნების ერთ-ერთი აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი), ფიზიკური ქიმიის პრობლემების ცნობილი მკვლევარი პეტერ ტისენი, ე. ფოლმერი, რადიოქიმიკოსი ნოკოლაუს რილი, ფ. დეპელი, ჰ. ბარვიხი, მ. შტეენბეკი, ა. ბარონი. გ. ტიპპე და სხვ. სტალინის პირადი ხელმოწერით გერმანელების აღნიშნული ჯგუფი საცხოვრებლად და სამუშაოდ განათავსეს („იქ, სადაც კავკასიის ქედი და შავი ზღვა ყველაზე ახლოსაა ერთმანეთთან“ — მათი თხოვნა) ქ. სოხუმის მახლობელ — აგუძერას და სინოპის — ყოფილ საკავშირო სანატორიუმების შენობებში.*

ამ „სანატორიუმ-ინსტიტუტებში“ გერმანელი მეცნიერების მხარდამხარ მუშაობდა ბევრი ქართველი მეცნიერიც. ინსტიტუტებში მოპოვებულმა მეცნიერული კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად უზრუნველყო მოკლე დროში საბჭოთა ატომური ყუმბარის შექმნა (1949 წ.). საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი შეფასება მისცა ამ ინსტიტუტის მუშაობას და მრავალი გერმანელი და ქართველი მეცნიერი დააჯილდოვა სახელმწიფო ორდენებით, ლენინის, სტალინის, სახელმწიფო პრემიებით.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთმა მეცნიერმა, ქიმიკოსმა ნიკოლაუს რილიმ გამოსცა მოგონებების წიგნი — „სტალინის ციხეში“ („ათი წელი ოქროს გალიაში“. 1945-1955 წწ). ამ წიგნში აღწერილია გერმანელი მეცნიერების ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა კავშირში („Stalin's CAptive“ („Ten years in a Golden Cage“). American Chemical Society, 1995).



სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი ნიკოლაუს რილი ის ერთადერთი „მოწვეული“ გერმანელი მეცნიერია, რომელსაც საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა სუფთა ურან-235-ის მიღების ტექნოლოგიის დამუშავებისთვის.

ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთ თავს ნ. რილის წიგნიდან — „შეხვედრები ბერიასთან“. ლ. ბერია და ი. კურჩატოვი ის ორი ადამიანია, რომლებსაც საბჭოთა ატომური ყუმბარის შექმნისთვის მიენიჭათ 1949 წელს დაწესებული უნიკალური წოდება „საბჭოთა კავშირის საპატიო მოქალაქე“.

ნიკოლაუს რილი, გერმანელი ქიმიკოსი

ორი შეხვედრა ბერიასთან

„მე მქონდა ორი შეხვედრა ბერიასთან. პირველი, შედარებით ხანმოკლე შეხვედრა მას შემდეგ შედგა, რაც ჩვენ ჩამოგვიყვანეს საბჭოთა კავშირში. ბერიამ დაგვპატიჟა გ. ჰერცი, ფოლმერი, მანფრედ ფონ არდენი და მე, რათა პირადად გაგვცნობოდა. თითოეული ჩვენგანი დამოუკიდებლად იყო დაპატიჟებული მის ოფისში. შეხვედრას ესწრებოდა, ალბათ, ასე, 20 სხვა პიროვნებაც, უმთავრესად მეცნიერები და მინისტრები.

ბერია ჩვენ ძალზე თავაზიანად და გულისხმიერად მოგვესალმა; ის საუბრობდა მეტად სასიამოვნოდ, თბილად და ჩვენდამი ღრმა პატივისცემის გრძნობით. კარგადაა ცნობილი, რომ მისი საუბრის დახვეწილი მანერა მსმენელებზე ღრმა და დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მე ვფიქრობ, რომ საუბრის ასეთ მაღალი თავაზიანობის დონეზე წარმართვაში მხოლოდ ჰიმლერს შეეძლო გაეწია მისთვის მეტოქეობა, კომპანიონობა. ჩვენი ძალზე მეგობრული საუბრის დასაწყისში მან აღნიშნა, რომ ჩვენს ხალხს — გერმანელებს და საბჭოელებს უნდა დაავიწყდეს საშინელი ომი ერთმანეთთან. გერმანელებმა უნდა გამოიჩინონ ძალიან დიდი შეგნება და გაგება მომხდარისადმი. ომის დამთავრების შემდეგ უნდა შეწყდეს ორივე ქვეყნის ჯარისკაცებს შორის დაპირისპირება. აქ ბერიამ საუბარს მოაყოლა ერთი ხუმრობა, სასაცილო ამბავი: „გერმანელები უტევდნენ რკინიგზის ერთ სადგურს. მოულოდნელად ბრძოლის ყიჟინი შეწყდა. კონფლიქტი შეჩერდა. ხელმძღვანელმა ოფიცერმა გაგზავნა თავისი ადიუტანტი გაეგო, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. ადიუტანტი დაბრუნდა და მოახსენა: „საგანგაშო არაფერია, მოიერიშე ძალებმა აიძულეს მეტოქე აეღოთ თავისი მატარებლის ბილეთები“.

საუბრის დანარჩენი ნაწილი გაგრძელდა მცირე შენიშვნებით. გამორჩეულად აღსანიშნავია, თუ როგორ ღრმა წვდომით, გამჭოლად გვათვალიერებდა ბერია ყველა დამსწრე გერმანელს.

ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა მუქი, შავი წვერი და მოელვარე შავი თვალები. ეს ადამიანი დაჟინებით მიყურებდა მე კეთილგანწყობილი მეგობრული მზერით. შემდეგ შევიტყვე, რომ ის იყო ი. კურჩატოვი.

მეორე, უფრო საინტერესო, მოულოდნელ შეხვედრას ადგილი ჰქონდა სამი წლის შემდეგ, იმ დროს, როცა ტექნიკური სიძნელეები არსებითად უკვე დაძლეული გვქონდა;

ერთ დღეს მე ვიყავი ძლიერ გაცივებული, ავად და გადავწყვიტე დავრჩენილიყავი სახლში. გაისმა ტელეფონის ზარი და აღმოჩნდა, რომ მირეკავდა ქარხნის დირექტორი. მან მითხრა, რომ იცის ჩემი ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ მაინც ძალიან მთხოვს მივიდე ქარხანაში. მე ვუპასუხე, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ამ სამი წლის განმავლობაში, როდესაც მე ავადმყოფობის გამო დავრჩი სახლში დასასვენებლად და ეს უნდა გაითვალისწინოს. მაგრამ ის არ შემშვა. მითხრა, რომ ეს იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეხვედრა და თითქმის წარმოუდგენელია ამ შეხვედრაზე დაუსწრებლობა. ხანგრძლივი განსჯა-გარჩევის შემდეგ მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს უარს შეიძლება მოჰყოლოდა ძალიან არასასიამოვნო შედეგები და დავთანხმდი ქარხანაში მისვლაზე.

მე ველოდებოდი ჩემს ოფისში და ვიცქირებოდი გარეთ ფანჯრიდან, საიდანაც კარგად ჩანდა ჩვენი ლაბორატორიის შემოსასვლელი. გარკვეული დროის შემდეგ ეზოში შემოვიდა დიდი შავი ლიმუზინების ჭეშმარიტად უწყვეტი, ასე, დაახლოებით 15 მანქანის ქარავანი. ბერია სწრაფად გადმოვიდა ერთ-ერთი მათგანიდან. მე მაშინ მივხვდი, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი სტუმრობა და გავემართე დერეფნისკენ, მასთან შესახვედრად. მან მკითხა, „როგორ ხართ?“ მე ვუპასუხე, რომ „შეწუხებული ვარ გრიპით“. ბერიამ პასუხად მითხრა, რომ იცის ჩემი ავადმყოფობის ამბავი და გამომიგზავნის სპეციალურ წამალს, რომელიც მას აქვს. ჩვენ შევედით ჩემს სამუშაო ოთახში, რომელიც სავსე იყო ხალხით. ზოგი იჯდა და ზოგიც იდგა. ესენი იყვნენ მინისტრები, ქარხნის დირექტორები, ადგილობრივი რეგიონის პარტიული ლიდერები და ჩემთვის უცნობი ზოგიერთი პიროვნება. რამდენიმე ზორბა აღნაგობის უზარმაზარი ახალგაზრდა კაცი იდგა ჩემი სამუშაო ოთახის კედლის გასწვრივ და ოთახის შემოსასვლელში.

ვიდრე ჩემს შემდგომ საუბარს გავაგრძელებდე, მე მოვყვები თუ რატომ ვიყავი იმ დღეს ძალზე მძიმე, საშინელ განწყობაზე. მე მაწუხებდა არა მხოლოდ ავადმყოფობა, არამედ მტანჯავდა ისიც, რომ თავს ვიკავებდი სიგარეტისგან. სიგარეტის მოწევის გარეშე ვიყავი აღგზნებული, გაუწონასწორებელი, არაკეთილგანწყობილი, რამდენადმე აგრესიულიც (ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ ვცადე თამბაქოსთვის თავის დანებება, მაგრამ ეს ყოველთვის მარცხით დამთავრდა). ყოველივე ამის მიზეზით, ბერიას თანდასწრებით, ჩემი რამდენადმე თავისუფალი საუბარი, კომიკურ ზომამდე მისული სითამამე, გამოიყურებოდა როგორც ერთ-ერთი არასასიამოვნო, არადარბაისლური ქცევა ჩემს ცხოვრებაში.

ვითარება იყო განსაკუთრებულად უცნაური, იგრძნობოდა, რომ ბერიას წინაშე ყველა ცახცახებდა. ძალზე გაწონასწორებული ზავენიაგინიც კი „პატარა და უჩინარი“ გახდა (ავრაამ ზავენიაგინი — 1941-1950 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე — **რედაქტორის შენიშვნა**).

ამ შემთხვევაში მხოლოდ მე არ მქონდა აშკარა მიზეზი ვყოფილიყავი შეშინებული; ბერიას ჩვენთან მოსვლას არ ჰქონდა რაიმე სპეციალური მიზეზი. მისი მოსვლის მიზანი იყო მუშაობაში დახმარება. უფრო მეტიც, ის მნიშვნელოვანი წარმატება, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, იძლეოდა იმის რწმენას, იმედს, რომ ჩვენ არ უნდა გვშინებოდა. ამდენად, ამ შემთხვევაში, სხვა დამსწრეებისგან განსხვავებით, მე, დამსწრეთა ყურადღების ფოკუსში მყოფი, არ ვგრძნობდი, არ ველოდი მოსალოდნელ მუქარას. დამშვიდებულად უნდა მეგრძნო თავი, არ მაწუხებდა დამთრგუნავი აზრი შიშისა. მე ვგრძნობდი, რომ ჩემი მდგომარეობა ამ ვითარებაში ნაკლებ დამაფიქრებელი იყო.

ბერიამ დისკუსია გახსნა შეკითხვით „რას ვაკეთებთ ახლა და როგორ მიმდინარეობს მუშაობა?“ მე მოკლედ მოვყევი ჩვენი სამუშაოს შესახებ. აღვნიშნე, რომ ვიკვლევთ მეტალური ურან-235-ის და პლატონიუმის საკითხს. თუმცა, მოხსენებულმა საკითხმა არ გამოიწვია ბერიას ინტერესი. ყოველივე ამის შემდეგ მან იკითხა, თუ გვაქვს რაიმე პრეტენზია, თუ არის რაიმე მოუგვარებელი და აუცილებლია თუ არა მისი ჩარევა. შეკითხვების საფუძველზე მე დავსვი უმტკივნეულო საკითხი. გავამახვილე ყურადღება რუსეთის ისტორიის ერთი კარგად ცნობილი შემთხვევის გამოყენებით: „რუსეთის ისტორია გვამცნობს, რომ რუსები ეახლნენ „ვარიაგებს“ და უთხრეს, რომ „ჩვენი მიწა არის დიდი და მდიდარი, მაგრამ მასზე არ არის წესრიგი, გთხოვთ, მობრძანდეთ და გვიხელმძღვანელოთ ჩვენ“. მე დავძინე, რომ „ჩვენი მიწა არის დიდი და მდიდარი, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს წმინდა, სუფთა ქიმიკატები (ქიმიური ნივთიერებები)“. ბერიამ გაიღიმა ჩემს ხუმრობაზე, მაგრამ მას არავინ სერიოზულად არ აჰყოლია, ოდნავ გაიღიმა მხოლოდ ბერიას გვერდით მჯდომმა ქიმიური მრეწველობის მინისტრმა გ. პერვუხინმა. ბერიამ მას კითხვითი მზერით შეხედა. პერვუხინმა უპასუხა, რომ კარგად ცნობილი პრობლემაა და ის განხილული იქნა მისი უწყების ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ სხდომაზე.

ბერიამ გამოთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ მე მქონდა მოსაგვარებელი მხოლოდ ეს ერთი საკითხი. მე ავამოძრავე ჩემი გონება და დავიწყე ძებნა პრობლემებისა, აღვნიშნე, რომ საბჭოთა კავშირში შეინიშნება მაღალტემპერატურული ტრიგერების უკმარობა, რაც გარკვეულად აბრკოლებს ჩვენს მუშაობას.

ბერიასგან მივიღე თანხმობა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოსწორდებოდა. იგი კვლავ და კვლავ მაძალებდა, მიმენიშნებინა მუშაობის ხელის შემშლელი მიზეზები. მან პირდაპირ თქვა, რომ საჭირო იქნებოდა და ელოდა, სამუშაოსთან დაკავშირებული უფრო სერიოზული გადასაჭრელი პრობლემების წამოჭრას, „საჭიროა უფრო მეტი ჩივილები გერმანელი მეცნიერების მხრიდან“. იგი უფრო ღრმა, მტკივნეულ პრეტენზიებს ეძებდა. მე ცივად, მკვეთრი ტონით ვუპასუხე, რომ „ჩვენ გვაქვს საკმარისი საჭმელი (კარგი კვება), ჩვენ არ გვცივა, ჩვენ არ გვაქვს საჩივრები“. მან მხედველობაში მიიღო ჩვენი შეფასება, მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენთვის მონიჭებული თითოეული პრივილეგია, ანუ გერმანელი მეცნიერების მიერ მიღებული პატივისცემა მიზნად ისახავდა საბჭოეთის ბადეში ჩვენს ჩათრევას, შეტყუებას. ეს უცნობი არ იყო ჩემთვის. მე თავიდანვე ვიღებდი ზომებს, ვცდილობდი, არ გავხლართულიყავი ამ ბადეში. თავი დამეღწია მისგან. ამიტომ, როგორც საუკეთესო გზა, თავს ვარიდებდი რაიმე არსებითის თხოვნას ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, თუ ეს არ იყო დაკავშირებული ჯანმრთელობასთან.

ბერიამ გამოთქვა ეჭვი, რომ „ნაკლებ სარწმუნოა, რომ ყველა ჩამოსული გერმანელი კმაყოფილია“. მაშინ მე ვუპასუხე, რომ „თუ თქვენ მოითხოვთ, მაიძულებთ გამოვთქვა უკმაყოფილება, საჩივარი რაიმეს, ან ვინმეს შესახებ, მე ვიტყვი ასე: „მე გიჩივლებთ თქვენ!“.

ჩემმა ამ გამონათქვამმა შემაშფოთებელი ეფექტი გამოიწვია დამსწრეთა შორის. ბერიას გარშემო მყოფი ყველა გაქვავდა, შეშფოთდა, მაშინ, როცა ბერია ამ ჩემმა შენიშვნამ აშკარად გაამხიარულა და მოჩვენებით შეშინებული სახით მკითხა: „მე მიჩივლებთ?“ მე ვუთხარი, რომ მას აქვს პერსონალური უფლება, მოვალეობა, დაამყაროს წესრიგი, გასცეს ბრძანება ჩვენი პიროვნული დაცვის შესახებ, შეიზღუდოს ის მეტის-მეტი თავისუფლება, რომელიც ჩვენ მოგვანიჭეს. ამით გარანტირებული იქნება საიდუმლოების გაჟონვის თავიდან აცილება.

ბერიამ თავის კოლეგებს შორის დაიწყო მიზანმიმართული განხილვა, თუ როგორ უნდა აეცილებინათ თავიდან ჩვენი ჯგუფისთვის არასასიამოვნო მოვლენები, რომლებიც შეიძლება გამოეწვია საიდუმლოების გაჟონვას. იქვე მე უკვე მაღელვებდა ის, რომ აღვძარი ეს საკითხი.

შემდეგ, მოგვიანებით, როდესაც მე აღვუწერე ეს შემთხვევა ჩემს გერმანელ კოლეგებს, ზოგიერთს არ მოეწონა ჩემი საქციელი და მისაყვედურეს კიდეც. მე ვგრძნობდი, რომ მათ ასეთ ქცევას თან ახლდა შინაგანი მტკივნეული თავშეკავება და კბილების ჩუმი ღრჭიალი, მრავალი მიზეზი იყო იმისა, რომ თავი აერიდებინათ დამატებითი და ზედმეტი შეღავათებისთვის: **პირველი** — ჩვენ გამოცდილებით ვიცოდით, რომ ჩვენი „თავისუფლება“ თანდათანობით უფრო მეტად იზღუდებოდა. **მეორე** — მოსალოდნელი იყო, რომ რაიმე საიდუმლოების გაჟონვის შემთხვევაში თავისუფლება მკვეთრად შეიზღუდებოდა და ბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ზოგს არ სურდა რაიმე პრივილეგიის მიღებას სირთულეები შექმნა მომავალში სამშობლოში ჩვენი დაბრუნების პროცესისთვის.

დამატებით რა იყო კიდევ ბერიასთან საუბრისას, მე არ შემიძლია გავიხსენო. მისი გუნდი გაემზადა ქარხანაში წასასვლელად. ზავენიაგინს უნდოდა, რომ მეც მათთან ერთად წავსულიყავი, მაგრამ ბერიამ უთხრა მას, რომ „ადამიანი ავად არის, ის უნდა წავიდეს ლოგინში დასაწოლად“. ზავენიაგინი გაჰყვა გუნდს და ჩემთვის გაუგებარი, მეტად გულმხურვალე, პერსონალური მადლობა გადამიხადა, რომლის მიზეზი მოგვიანებით შევიტყვე. მაშინ მე არ მქონდა შესაძლებლობა ამეხსნა მისი ასეთი დიდი მადლობის საფუძველი“...

* * *

საბჭოთა ატომური ყუმბარის შექმნაში გერმანელ მეცნიერებთან ერთად მოღვაწე ქართველი მეცნიერების მიერ მიღწეული ფასეული წვლილის შესახებ მდიდარ ინფორმაციას დაინტერესებული მკითხველი შეიძლება გაეცნოს პროფესორ გურამ ბოკუჩავას შესანიშნავ დოკუმენტურ წიგნში: „სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი“, თბილისი, 2016 წ.

მასალა მოიძია, ინგლისურიდან თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა პროფესორმა
შოთა სიდამონიძემ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ათობით ქართველი პოლიტიკოსი „პანამის დოსიეში“

ეგრეთ წოდებული „პანამის დოსიეს“ მასალები შეიცავენ ინფორმაციას მსოფლიოს ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსების ოფშორული კომპანიების შესახებ. დოკუმენტებში ფიგურირებს აგრეთვე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის გვარიც. ჟურნალისტ ნინო ბაქრაძის სიტყვებით, რომელიც თანამშრომლობს ორგანიზებულ დანაშაულებათა და კორუფციის დარგში მკვლევარი ჟურნალისტების საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ივანიშვილის გარდა სიაში არის საქართველოს 50-მდე ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსი. მასალების პუბლიკაცია მოხდება ეტაპობრივად, რამდენიმე თვის განმავლობაში.

„პანამის დოსიეში“ არის ინფორმაცია იმ ოფშორული კომპანიების შესახებ, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკური ლიდერები, ბიზნესმენები და დამნაშავეები იყენებენ შემოსავლების დაფარვისათვის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით.

პროექტ „ორგანიზებულ დანაშაულობათა და კორუფციის გამოკვლევის“ რეგიონალური რედაქტორი დევიდ ბლოსი იყო ერთ-ერთი მათგანი ვინც მიიღო ინფორმაცია მკვლევარ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმიდან საქართველოს მოქალაქეების ოფშორული სტრუქტურების შესახებ. მისი სიტყვებით, საჭიროა გავიგოთ, რომ ობშორებში ქონების თავად ფლობა არ არის დანაშაული — უკანონოა მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ოფშორების გამოყენებას იმ ფულის ჩარეცხვისათვის, რაც უკანონო გზით იქნა მოპოვებული, და შემოსავლების დაფარვისათვის გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. ბლოსი ამბობს, რომ იგი გააოცა საქართველოს იმ მოქალაქეთა ოდენობამ, რომლებიც 90-იანი წლებიდან იყენებდნენ ოფშორული ზონების მომსახურებას:

„ჩვენ ვხედავთ სკანდალის შედეგებს დიდ ბრიტანეთში, იმას, თუ რა ხდება პრემიერ-მინისტრის (დევიდ კემერონის) სახელთან დაკავშირებით, ვხედავთ ისლანდიის პრემიერის გადადგომას. სამყარო შეიცვალა — სიტყვა „ოფშორი“ ყურს სჭრის. თუმცა, სულ რაღაც 25 წლის წინათ ეს იყო ჩვეულებრივი საერთო მსოფლიო პრაქტიკა. ამჟამად ძნელია, წარმოიდგინო მსოფლიო ლიდერი, ვისაც ექნებოდა სურვილი, რომ მისი სახელი დაკავშირებული ყოფილიყო ოფშორთან“.

ნინო ბაქრაძე არის ჟურნალისტი, რომელიც ჩართულია მოცემული გამოკვლევის მუშაობაში. რადიო „თავისუფლების“ ქართულ სამსახურთან თავის ინტერვიუში მან ისაუბრა თავისი გამოკვლევის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის ოფშორულ კაპიტალებთან. ექსპერტმა აუცილებლად ჩათვალა გამოიკვლიოს კომპანია „ლინდენ მენეჯმენტის“ საქმიანობა, რომელიც დარეგისტრირებულია ვირჯინიის კუნძულებზე 2011 წელს. ამ კომპანიის მეშვეობით ბიძინა ივანიშვილი ფლობს ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის „რაპტორის“ დაახლოებით 20 პროცენტს. როდესაც 2012-2013 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო, ივანიშვილს უნდა მიეთითებინა ეს ინფორმაცია დეკლარაციაში ქონების შესახებ.

„2011 წელს ხელისუფლებაში მოსვლამდე კომპანია „ლინდენ მენეჯმენტის“ მფლობელი იყო ბიძინა ივანიშვილი. მასალების მიხედვით, კომპანია აგრძელებს მოქმედებას ამჟამადაც. როდესაც პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, ის ვალდებული იყო, მიეთითებინა კომპანია თავის დეკლარაციაში, ვინაიდან მისგან ღებულობდა შემოსავალს, თუმცა, მან ეს არ გააკეთა. საინტერესოა, რომ „რატპორის“ ხუთ პროცენტს ფლობს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი, თავად ფონდი კი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

ნინო ბაქრაძის სიტყვებით, **მონაცემთა ბაზაში ფიგურირებს 50-მდე მოქმედი და ყოფილი ქართველი პოლიტიკოსი. ინფორმაცია მათ შესახებ გამოქვეყნდება ეტაპობრივად, რამდენიმე თვის განმავლობაში.**

საინტერესოა სქემები, რომელთა დახმარებითაც ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ, დაფარონ თავიანთი ქონება. საქმე ბანალურ სისულელემდეც კი მიდის: მაგალითად, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი არის 3 ოფშორული კომპანიის მფლობელი, და მართალია, იქ მისი სახელი არ ფიგურირებს, მითითებულია მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, რაც მას თავიდან ფეხებამდე ააშკარავებს. თუ შევხედავთ იმ ადამიანების ცხოვრების ადგილს, რომლებსაც აქვთ ქონება ოფშორებში, გამოდის, რომ, პრაქტიკულად, ყველა მათგანი ცხოვრობს ვაკის პრესტიჟულ რაიონში ფალიაშვილის ქუჩაზე. ჩვენს რუკაზე მთელი ქუჩა წითლად ანათებს“.

საინტერესოა, რომ არც პროკურატურა, არც სხვა სამართალდაცვის ორგანოები ჯერჯერობით არ დაინტერესებულან „პანამის დოსიეს“ ცნობებით. Transparency International-ის საქართველოს განყოფილების წარმომადგენლის ერეკლე ურუშაძის სიტყვებით, საქართველოს ძალოვანი უწყებები ტრადიციულად ძლიერ არიან დამოკიდებული პოლიტიკაზე. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან ცოტა რამ თუ შეიცვალა: პროკურატურა ამჟამადაც მუდმივი პრესინგის ქვეშ იმყოფება მმართველი პოლიტიკური ელიტის მხრიდან:

„ივანიშვილთან დაკავშირებულ შემთხვევაში განიხილება როგორც მინიმუმი ერთი დარღვევა. მაგრამ ქართული ოცნების პოლიტიკური ლიდერები საუბრობენ მხილებათა უკმარისობისა და ამ პუბლიკაციების არასერიოზულობის შესახებ, რაც თვალნათლივ ახასიათებს მომხდარ ამბავს. ანალოგიური კვლევები, რომლებიც განვახორციელეთ ჩვენ და სხვა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა იმ 12 პარლამენტართან, მინისტრთან და სხვა საჯარო პირებთან დაკავშირებით რომლებმაც არ მიუთითეს ქონებრივ დეკლარაციებში ქონება, დარჩა რეაგირების გარეშე პროკურატურის მხრიდან. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც იცვლება ხელისუფლება, მაშინ პროკურატურა განსაკუთრებული ძალისხმევით იწყებს სამართალდარღვევის გამოკვლევას, რომლებიც პოლიტიკურმა ოპონენტებმა ჩაიდინეს“.

ერეკლე ურუშაძე ხედავს გამოსავალს დამოუკიდებელი ორგანოს შექმნაში, რომელიც იმუშავებს ანტიკორუფციულ გამოკვლევებზე. თუმცა, შარშან „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ ხმა მისცა ამგვარი ინსტიტუტის ჩამოყალიბების წინააღმდეგ.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

სირიაში რუსეთის შვეულმფრენი დაიმსხვრა, მფრინავები დაიღუპნენ

რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ჯარების დამრტყმელი შვეულმფრენი МИ-8Н ჩამოგდებული არ ყოფილა. კატასტროფის შესაძლო მიზეზები უკვე დასახელებულია. დაღუპული მფრინავების ცხედრები მიტანილია „ხმეიმიმის“ ავიაბაზაზე.

ავსტრალიაში გააკრიტიკეს ახალი ბანკნოტები დედოფლის პორტრეტებისა და ნაწლავების ჩხირების გამო

ხუთი დოლარის ღირებულების ახალმა ბანკნოტებმა, რომლებიც წარმოადგინა სარეზერვო ბანკმა, საგონებელში ჩააგდო ავსტრალიელები. ხალხს აოცებს დიდი ბრიტანეთის დედოფლის გაახალგაზრდავება წინა ბანკნოტებთან შედარებით, აგრეთვე ავსტრალიური მცენარის თესლების გამოსახულებამ, რომლებიც ყველაზე მეტად ნაწლავის ჩხირებს მოგვაგონებენ.

ჩინეთმა გააკრიტიკა „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება სადავო კუნძულების ტერიტორიებთან დაკავშირებით

პეკინმა მიუთითა დიდი შვიდეულის წარმომადგენლებს, რომლებიც ხიროსიმაში შეიკრიბნენ იმის აუცილებლობაზე, რომ ყურადღება გაამახვილონ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენაზე, გაჯანსაღებასა და თანამშრომლობაზე, ზღვების შესახებ საკითხებთან დაბრუნების ნაცვლად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეგიონალური კონფლიქტების პროვოცირება.

ერდოღანმა უჩივლა პროკურატურაში გერმანელ ბელენამყვანს ლექსისათვის

თურქეთის პრეზიდენტმა შეიტანა საჩივარი მაინცის პროკურატურაში. უწყებაში უპასუხეს, რომ განცხადება იქნება განხილული. გერმანული პროკურატურა უკვე აწარმოებს გამოკვლევას კომიკოს იან ბემენმართან დაკავშირებით, რომელმაც ტელეარხ ZDF-ის ეთერში თავს ნება მისცა, წაეკითხა შეურაცხმყოფელი ლექსი თურქეთის ლიდერზე.

ბრაზილიის საპარლამენტო კომისიამ კენჭი უყარა პრეზიდენტის იმპიჩმენტს

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, კომისიის ვერდიქტი გამოტანილი უნდა იყოს პარლამენტის ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე. როგორც ელოდებიან, იგი კენჭს უყრის იმპიჩმენტის საკითხს დილმა რუსეფთან დაკავშირებით 17 აპრილს. პრეზიდენტის გადადგომის პროცესის გაგრძელებისათვის საჭიროა პარლამენტის წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერა, ესე იგი 342 ხმა.

გროისმანმა მოილაპარაკა თითქმის ყველა პოზიციის შესახებ უკრაინის ახალ პარლამენტში

გროისმანის პრესმდივან დმიტრი სტოიარჩუკის სიტყვებით, პრემიერ-მინისტრის პოსტზე მთავარმა კანდიდატმა შეძლო, დაეცვა სარეფორმატორო ბირთვი ახალ მთავრობაში. „პეტრო პოროშენკოს ბლოკში“ ასევე განაცხადეს, რომ ცნობა გროისმანის თანამდებობაზე უარის თქმის შესახებ ნაადრევია.

სირიის მხრიდან თურქეთის მიმართულებით 3 რაკეტა ისროლეს

NTV-ის ინფორმაციით, დაჭრილია ექვსი ადამიანი. შემთხვევის ადგილას სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა მივიდა. გავრცელებული ინფორმაციით სამი დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. კილისი სირიის ტერიტორიიდან ცეცხლის ქვეშ გუშინაც მოექცა. დაიჭრა 12 ადამიანი. თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიის ამ ნაწილს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები აკონტროლებენ. მარტში განხორციელებული სროლისას კი ქალაქის ორი მცხოვრები დაიღუპა.

განცხადება

2016 წლის 20 აპრილს 15 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი)
2. ამხანაგობის გამგეობის წევრის არჩევა
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი)

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგობის გამგეობა.

დანართი №1 (5 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016 წლის „12 აპრილის“
№ ს-159 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის აღგილმდებარეობა	სამაგალითო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	მე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	დაბა ხელვაჩაური, კოწია ერისთავის ქ.N27 მიწისქვეშა წყალი	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	7 300 მ3/წელიწადში	84,00	216,80
2	ქ ბათუმი,ფრიდნ ხალვაშის გამზირი N342	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 600 მ3/წელიწადში	42,00	208,40
3	ქ.ბათუმი, მაიაკოვსკის ქ N55	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21,00	204,20
4	ქ.ბათუმი, მეკინისწყლის დასახლება.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო	P	3 წელი	7 300 მ3/წელიწადში	84,00	216,80
		დანიშნულებით					
5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ხელვაჩაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	18 250 მ3/წელიწადში	208,34	241,67
6	ქ. ბათუმი, მახვილაურის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21	204,20
7	ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ N97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 600 მ3/წელიწადში	42	208,40
8	ქ.ბათუმი, ფრ.ხალვაშის მე-3 ჩიხი,სახლი N2	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 090 მ3/წელიწადში	12,50	202,50
9	ქ. ბათუმი,შაქიაშვილი ს ქ N 106	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	18 000 მ3/წელიწადში	205,50	241,10
10	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ხელვაჩაური.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	4 200 მ3/წელიწადში	48,00	209,60
11	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ხელვაჩაური.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	36 000 მ3/წელიწადში	411,00	282,20
12	ქ.ბათუმი, მეკინისწყლის დასახლება.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	3 000 მ3/წელიწადში	34,25	206,85
13	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი. სოფელი შარაბიძეები.	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21,00	204,20
13	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფ ვოკიაშვილები	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	1 825 მ3/წელიწადში	21,00	204,20
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				

საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დაღუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დაღუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და,
	შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპიტაჟება; ზ) ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო
	წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 18 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 მაისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 20 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 მაისს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ნიჩბოსნობა

უნვი ნადავლით – მინგეჩაურიდან

ყოველი წლის გაზაფხულზე მინგეჩაური ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირს - აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასის გათამაშებას მასპინძლობს. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები კანოესა და კაიაკში (ბაიდარა) ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. წლეულს ამ შეჯიბრებაში, ტრადიციულად, საქართველოს წარმომადგენლებმაც იყოჩაღეს - სხვადასხვა ასაკში უხვი ნადავლი მოიხვეჭეს.

კაიაკი (ბაიდარა)

1999-2001 წლებში დაბადებულნი

ერთადგილიანი, 200 მ. 1. ლუკა თხილაიშვილი (46,34), 3. გიორგი ქაჯაია (51,39); **ორადგილიანი, 200 მ.** 1. ლევან ტატუნაშვილი, ლუკა თხილაიშვილი (43,36), 3. გიორგი გოგიჩაშვილი, ლუკა თოფურია (50,72). **ერთადგილიანი, 500 მ.** 2. ემზარ ირემაშვილი (2.23,45), 3. ლევან ტატუნაშვილი (2.24,20). **ორადგილიანი, 500 მ.** 1. ლევან ტატუნაშვილი, ლუკა თხილაიშვილი (2.04,95). **ერთადგილიანი, 1000 მ.** 2. გიორგი ქაჯაია (4.31,00). **ოთხადგილიანი, 1500 მ.** 2. ზურაბ კინტირაია, მიხეილ ოვაშვილი, გივი მაჭარაშვილი, ზურაბ ფურცხვანიძე (7.06,66).

2002-2004 წლებში დაბადებულნი

ერთადგილიანი, 200 მ. 1. ჯუმბერ ჩხუტიაშვილი (51,80), 3. ლუკა ქირია 91.00,08); **ერთადგილიანი, 500 მ.** 1. ბაჩანა გოჩაშვილი (2.41,76), 2. ჯუმბერ ჩხუტიაშვილი (2.53,16). **ორადგილიანი, 500 მ.** 1. ბაჩანა გოჩაშვილი, ლუკა ქირია (2.23,06); **ერთადგილიანი, 1000 მ.** 1. ბაჩანა გოჩაშვილი (5.09,10), 2. ლუკა ქირია (5.31,06). ამავე დისტანციაზე ქართველმა გოგონებმა თითო ოქრო და ვერცხლი მოიპოვეს: 1. თამარ მიქაძე (6.08,88), 2. ლორა ჩორგოლაშვილი (6.14,44).

კანოე

2002-2004 წლებში დაბადებულნი

დუშელი სალომე ჯიქურაული ბიჭებს ეჯიბრებოდა და ერთადგილიანი ნავით მან ორ დისტანციაზე ყველას აჯობა: **200 მ.** 1. სალომე ჯიქურაული (58,96), 2. ალექსანდრე წივწივაძე (1.04,14), 3. გია გვრიტიშვილი (1.04,72); **500 მ.** 1. სალომე ჯიქურაული (2.34,73), 2. ალექსანდრე წივწივაძე (2.47,71).

ლაშა დიდია

სურათზე: სალომე ჯიქურაული.

◎ ხელბურთი

დაუოკებელი „პეგასი“

ჭაბუკ ხელბურთელთა საქართველოს პირველობებში სამი წელიწადია თბილისის „პეგასს“ ჯეროვან მეტოქეობას ვერავინ უწევს. წლეულსაც ზონალური პირველობების შემდეგ რვა საუკეთესო გუნდი თბილისის ახალ სპორტის სასახლეში შეიკრიბა. ჯგუფებში წრიულმა პაექრობებმა მედლებისთვის მებრძოლი ოთხეული გამოავლინა. ნახევარფინალში „პეგასმა“ „წყალტუბო“ დაამარცხა – 38:27, ხოლო „გორმა“ ფოთის „ოქროს ვერძს“ აჯობა – 25:21.

გადამწყვეტ პაექრობაში მწვრთნელების – ტიტე კალანდაძისა და გიორგი სახვაძის შეგირდებმა აღმავლობით ითამაშეს და გორის გუნდს 18 ბურთის უპირატესობით სძლიეს. გორელებმა ორი წლის წინანდელი შედეგი გაიმეორეს – ვერცხლის მედლები ერგოთ. ბრინჯაოს მედლისთვის დაძაბულ მატჩში ფოთის „ოქროს ვერძმა“ 26:25 მოუგო დასავლეთის ჩემპიონ „წყალტუბოს“.

ფინალი

„პეგასი“ – „გორი“ 35:17

„პეგასი“: დიხამინჯია, სანიკიძე, თეზელაშვილი, კუხალაშვილი – 11, კაჭკაჭაშვილი – 6, ლაპიაშვილი – 6, კალანდაძე – 6, თ. კევლიშვილი – 3, ნ. კევლიშვილი – 1, ქათამაძე – 1, ჯაფარიძე – 1, კახოშვილი, პატაშური, ბუხაიძე, მწვრთნელები – ტ. კალანდაძე, გ. სახვაძე.

„გორი“: თითირაშვილი, გლუნჩაძე, გახოკიძე – 5, გუდურაშვილი – 4, ნიაზაშვილი – 4, ტარუაშვილი – 3, ლურსმანაშვილი – 1, მღებრიშვილი, ოქროპირიძე, შემშენოვი, ხუბულური, გოგინაშვილი, ჩიხლაძე, გიორგაძე, მწვრთნელები – გ. მამაცაშვილი, ლ. მოციქულაშვილი.

მატჩი მე-3 ადგილისთვის.

„ფოთი“ – „წყალტუბო“ 26:25

„ფოთი“: დანელია, ფაჩულია, შარტავა – 9, ნოღაიდელი – 7, ლორთქიფანიძე – 4, ცხვარაძე – 3, ფანცულაია – 2, დიდია – 1, ბჟალავა, მახათაძე, ჟვანია, მწვრთნელები – გ. ჟვანია, დ. გეფერიძე.

„წყალტუბო“: ხაჭაპურიძე, სილაგაძე, ხელაძე – 11, ნ. ბაბუნაშვილი – 5, ციბაძე – 4, გოგიძე – 3, რ. ბაბუნაშვილი – 1, ბენიძე– 1, ჯიმშელეიშვილი, ჯანგავაძე, გვეტესიანი, მეფარიძე, ვარდანიძე, შვანგირაძე, მწვრთნელები - ნ. გოგიძე, გ. ჯანელიძე.

გივი გაგუა

სურათზე: „პეგასი“.

◎ ძალოსნობა

მედლებისა და ლიცენზიისთვის

ნორვეგიაში დაიწყო ძალოსან ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. მედლებისთვის მებრძოლ ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებს ოლიმპიური ჩემპიონის – გიორგი ასანიძის ხელმძღვანელობით ცხრა ქართველი ათლეტი დაუპირისპირდება. ერთმა უკვე მოსინჯა ძალები ფიცარნაგზე – 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობის პრიზიორმა რამინ შამილიშვილმა იასპარეზა. ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა, აკვრაში კი 147 კილოზე ბოლო ორი მისვლა გაუცუდდა. საბოლოოდ ორჭიდში 265 კილოგრამით მე-9 ადგილი დაიკავა.

ატაცი. 1. ეროლ ბილგინი (თურქეთი, 133 კგ), 2. ფელიქს ხალიბეკოვი (რუსეთი, 133), 3. ვლადიმირ ურუმოვი (ბულგარეთი, 129)... 7. რამინ შამილიშვილი (123).

აკვრა. 1. ჰურსიტ ატაკი (თურქეთი, 170), 2. ვლადიმირ ურუმოვი (ბულგარეთი, 159), 3. იური დუდოგლო (მოლდოვა, 156)... 11. რამინ შამილიშვილი (142).

ორჭიდი. 1. ჰურსიტ ატაკი (თურქეთი, 296), 2. ფელიქს ხალიბეკოვი (რუსეთი, 289), 3, ვლადიმირ ურუმოვი (ბულგარეთი, 288)... 9. რამინ შამილიშვილი (265).

საგულისხმოა, რომ ამ ჩემპიონატზე მედლებისთვის მებრძოლთა შორის იქნებიან მსოფლიოს და ევროპის მოქმედი ჩემპიონები – ლაშა ტალახაძე და ირაკლი თურმანიძე, ევროპის ექსჩემპიონი რაულ ცირეკიძე, ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობის პრიზიორები რევაზ დავითაძე და გიორგი ჩხეიძე. ქალთა შორის რიოს ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების შანსის გამოსაყენებლად არაფერს დაიშურებს ანასტასია გოტფრიდი.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა ფიცარნაგზე გასვლის განრიგი ასეთია:

13 აპრილი. ირაკლი გაბრიჭიძე (77 კგ, B ჯგუფი),

14 აპრილი. რევაზ დავითაძე (85, B),

15 აპრილი. რაულ ცირეკიძე (94, A), ალუდა მანაგაძე (105, B),

16 აპრილი. გიორგი ჩხეიძე (105, A), ანასტასია გოტფრიდი (+75, A), ირაკლი თურმანიძე (+105, A), ლაშა ტალახაძე (+105, A).

ლექსო ცინცაძე

სურათზე: რამინ შამილიშვილი.

◎ კალათბურთი

ზაზა და „დალასი“ – პლეი ოფში

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩი „დალას მავერიქსმა“ სოლტ ლეიკ სიტიში „იუტას“ მოუგო და პლეი ოფის საგზური მოიპოვა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილი გაინაღდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტეხასელები პლეი ოფის პირველ წრეში ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „სან ანტონიოს“ შეხვდებიან.

იუტაში გამართული მატჩი ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო. იუტელთათვის საერთოდ ყოფნა-არყოფნის გახლდათ, რადგანაც წაგების შემთხვევაში პლეი ოფის საგზურს ფაქტობრივად კარგავდნენ.

ერთი სიტყვით, შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართველი გულშემატკივრების გასახარად, რომლებიც დალასელებს ფაჩულიას ხათრით ქომაგობენ, „მავერიქსმა“ 101:92 იმარჯვა.

სტუმრებს გამარჯვებისკენ

დირკ ნოვიცკი გაუძღვა. ვეტერანმა გერმანელმა 22 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. 23 ქულა მიაშველა ტეხასელებს ექსიუტელმა დერონ უილიამსმა, ხოლო ვესლი მეთიუზმა შეხვედრა 20 ქულით დაასრულა. ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 27 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა საკმაოდ ნაყოფიერად ითამაშა და თავი 5 ქულას, 9 მოხსნას და 3 პასს მოუყარა.

„დალასს“ 42 გამარჯვების წილ 39 მარცხი აქვს და, როგორც ვთქვით, დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზეა. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში დღეს სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ თამაშში ფაჩულიას გუნდი „სან ანტონიოს“ უმასპინძლებს. შეხვედრას უფრო დაზვერვითი ხასიათი ექნება, რადგან სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს პლეი ოფის პირველ წრეში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თაობა

არის ასეთი ფედერაცია

სპორტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და თბილისის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით წელს უკვე მეორედ გაიმართა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში – „თბილისის ღია ჩემპიონატი“ თბილისის საჯარო და კერძო სკოლებს შორის (მთავარი მსაჯი ეროვნული კატეგორიის ძაგანია) სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა.

დაძაბულ ბრძოლებში ფინალში გამოსვლის პატივი ხვდათ №84, №90, №97, №150, №161, №207 საჯარო სკოლებს, კლასიკურ გიმნაზიასა და ვალდორფის თავისუფალ სკოლას;

არბიტრი სუსანა გვილავა). ტურნირში 52 სკოლა მონაწილეობდა.

ასპარეზობას საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (რექტორი გურამ

მათ შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

I ადგილი – 150-ე საჯარო სკოლა;

II ადგილი – 90-ე საჯარო სკოლა;

III ადგილი – 161-ე საჯარო სკოლა.

საუკეთესოთა გარდა, დაჯილდოვდნენ ყველაზე პატარა და ვეტერანი მონაწილენი – №90 საჯარო სკოლის მესამეკლასელი აკაკი გაბიცინაშვილი და №108 საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგი, მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (2011 წ. პოლონეთი) შალვა გაფრინდაშვილი.

განსაკუთრებული საჩუქარი – ცნობილი მსახიობის ლევან ყოჩიაშვილის ავტოგრაფიანი ჩოგბურთის ბურთი ერგო №84 საჯარო სკოლის მოსწავლეს ირინა რუსიძეს.

თითოეული სკოლის გუნდი მოსწავლეების, მასწავლებლისა და მშობლისაგან შედგებოდა, რაც ტურნირს სხვა სასკოლო სპორტული ასპარეზობისაგან განასხვავებდა. საინტერესო იყო აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ფინალში გასული გუნდების ინტერესებს იცავდნენ თბილისის მერიის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასპინძელი უნივერსიტეტის, ასევე საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები.

თბილისის მერიამ, შესაბამისი ხარისხის პრიზების გარდა, რჩეულთ სასაჩუქრე ფულადი ვაუჩერი დაუწესა სკოლისათვის საჭირო სპორტული ინვენტარის შესაძენად.

I ადგილი – 600 ლარი;
II ადგილი – 400 ლარი;
III ადგილი – 200 ლარი;
IV ადგილი – 100 ლარი.

ტურნირს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები - საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპის ჩემპიონი დავით კვაჭაძე; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის თანამშრომელი ქეთი ჩხობაძე; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე; ქალთა ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კახაბერ მოცრაძე;

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია მოზარდების ხელშესაწყობად გაღებული წვლილისათვისა და ფედერაციისათვის გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს, სამსახურის უფროსს **ირაკლი გვილავას,** სპორტული პროგრამების ხელმძღვანელს **გეგა ზურაბაშვილსა** და სამსახურის თანამშრომელს **თათია დონაძეს.**

კახა ნიკოლაძე

◎ ბუნება მბრძანებელია!

ზაფხული 10 დღით ადრე იწყება, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინათ

უკანასკნელ წლებში ზამთარი სულ უფრო ადრე უთმობს ადგილს ზაფხულს. ამის ყველაზე მკაფიო ნიშანია მცენარეების ნაადრევი ყვავილობა. მაგრამ მეცნიერებისთვის არსებობს ზაფხულის ადრე დადგომის სხვა, უფრო ზუსტი საბუთები.

ფრანგ მკვლევართა მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს პროცესი მართლაც სახეზეა და სულ უფრო წინ მიდის. მათ შეისწავლეს ამინდის შესახებ ცნობების მრავალწლიანი ჩანაწერები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ზაფხულის დაწყების თარიღმა დაახლოებით 10 დღით ადრე გადმოიწია.

უფრო მეტიც, პროცესი თუ ასე გაგრძელდა, საუკუნის დასასრულისთვის ზაფხული შეიძლება ჩვეულებრივზე 20 დღით ადრე დაიწყოს ხოლმე.

კვლევის გასაადვილებლად მეცნიერებმა წელიწადი ორ თანაბარ ნაწილად - ზაფხულად და ზამთრად დაყვეს. ევროპაში ამ მონაცვლეობას ორი მთავარი ფაქტორი განაპირობებს. ერთი მხრივ, ესაა ატლანტიკის ოკეანიდან მომავალი ქარები. მეორე მხრივ კი, ესაა აღმოსავლეთ ევროპიდან მომავალი ტენიანი და ზომიერი ტემპერატურის მქონე ანტიციკლონები, რომლებიც ატლანტიკიდან მომავალ ჰაერის მასებს აღუდგება წინ.

ამის შედეგად ზამთრობით გვაქვს ცივი და ნაკლებად ნალექიანი დღეები, ზაფხულობით კი მშრალი და ცხელი პერიოდები. მეცნიერები ზაფხულის ნახევარწლიანი მონაკვეთის დასაწყისად მიიჩნევენ იმ დროს, როცა აღმოსავლეთიდან მომდინარე კონტინენტური გავლენა აგრილებას აღარ იწვევს და დასავლეთ ევროპაში პირველად დათბება.

ფრანგმა მეცნიერებმა დაამუშავეს 1950-2010 წლების პერიოდის ამინდის შესახებ მონაცემები. ამ ანალიზს დაემატა უკვე არსებული კლიმატური მოდელები და საბოლოოდ დადგინდა ამინდის ცვლილების ტენდენცია შემდგომი ათწლეულებისთვის.

შესწავლილმა მასალამ აჩვენა, რომ მეტეოროლოგების მიერ დადგენილი ზაფხულის დასაწყისის თარიღი იყო 12 აპრილის სიახლოვეს. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აღმოსავლეთის თბილი კონტინენტური ანტიციკლონები 1-დან 5-აპრილამდე პერიოდში იწყებოდა, ანუ დაახლოებით 10 დღით ადრე. ამის მიზეზად მეცნიერები მიიჩნევენ აღმოსავლეთ ევროპაში თოვლის საფარის ნაადრევ დნობას.

შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ კლიმატის ბუნებრივი მერყეობით ამ მოვლენის ახსნა შეუძლებელია. მკვლევართა აზრით, ზაფხულის სეზონის სულ უფრო და უფრო ადრე დაწყების მიზეზი უნდა იყოს ადამიანი, კერძოდ, ატმოსფეროში CO_2-ის კონცენტრაციის ზრდა.

ბიძინა რამიშვილი

მცირეწლოვანის გაუპატიურებისთვის ბრალდებულს 23 წლით პატიმრობა მიესაჯა

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პ.ფ. 10 წლის გოგონას გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ჩადენისთვის და სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის დამნაშავედ სცნო. მოსამართლემ პ. ფ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 23 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პ.ფ.-ს ბრალდების საქმეზე ჩატარდა სასამართლოს 16 სხდომა, დაიკითხა ბრალდების მხარის 30 მოწმე. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2015 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 00:30 საათზე, ზესტაფონის რაიონში პ.ფ-მ ძალადობით, ძალადობის გამოყენების მუქარით და უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გააუპატიურა 10 წლის გოგონა, ხოლო შემდეგ მცირეწლოვანთან დაამყარა გაუკუღმართებული სქესობრივი კონტაქტი.

სამართალდამცველებმა პ.ფ. 2015 წლის 4 ივნისს გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ პ. ფ. წარსულში ნარკოტიკული დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული და სასამართლოს განაჩენით, მას ჩამორთმეული ჰქონდა ავტოტრანსპორტის მართვის უფლება, მიუხედავად ამისა იგი არ ემორჩილებოდა დაკისრებულ აკრძალვას და ავტომობილს მართავდა.

უაქციზო „MARLBORO"-ს რეალიზაციის გამო, 2 პირი დაკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე ორი მოქალაქე, —კარენ გასპარიანი და ანზორ პალატიანი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი აქციზური მარკის გარეშე შემოიტანეს და რეალიზაცია გაუკეთეს ეს დიდი ოდენობით სიგარეტ „MARLBORO"-ს.

იგვლისური ისწავლეთ, ტაქსისტებო!

სატაქსო ბიზნესი – შეზღუდვა თუ ნახალისება?!

სატრანსპორტო ბაზარზე არსებული პრობლემის მოგვარებას თბილისის მერია მომავალი წლიდან გეგმავს. მანამდე კი სპეციალისტები, მძღოლები და მუნიციპალიტეტის მოხელეები პრობლემის გადაჭრის გზებზე ცალ-ცალკე მსჯელობენ. ჯერჯერობით, ოპტიმალური ვარიანტის კონტური მოხაზული არ არის.

ცნობილია, რომ 2017 წლიდან ტაქსებისთვის რეგულირების დოკუმენტი ამოქმედდება. როგორც მერის მოადგილე აცხადებს, ძირითადი პრინციპი, რომელსაც დოკუმენტი დაეყრდნობა, უსაფრთხოების პრინციპი იქნება. საუბარია, ავტომობილის ტექნიკურ დათვალიერებასა და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

„ჯერჯერობით გვაქვს იმ მოდელის სამუშაო ვერსია, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და რომელიც ბევრი მიმართულებით, ალბათ, კიდევ დაზუსტდება. მთავარი ამ ეტაპზე არის უსაფრთხოება, რადგან სფერო ახლა დაურეგულირებელია, არავინ აკონტროლებს ამ სექტორს, რაც პრობლემას ქმნის და ეს უკავშირდება უსაფრთხოებას.

ეს დოკუმენტი, რომელიც გვაქვს, რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა. უსაფრთხოების კომპონენტი გაყოფილია ორ ნაწილად: ავტომობილის უსაფრთხოება, რომელიც მის ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლიობას მოიცავს და მეორე — მძღოლის უსაფრთხოების ნაწილი. აქ საჭიროა მინიმალური დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც ადასტურებს მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობას“, — განაცხადა ლექვინაძემ.

ამასთან, დოკუმენტში გაწერილია სტიმულირების მექანიზმებიც, რა უპირატესობები შეიძლება მიენიჭოს ამ სექტორს. მაგალითად, გამოყოფილი ჰქონდეთ ადგილები, მიიღონ სხვადასხვა პლიუსები. ლექვინაძის თქმით, სამუშაო ვერსიაში ყველაფერი ეტაპობრივად არის გაწერილი და მოიცავს ოთხ ეტაპს.

თბილისში დაახლოებით 40-50 ათასი ტაქსი მოძრაობს და მათი დიდი ნაწილი მოძველებული და მოუწესრიგებელია. ამას მხოლოდ თბილისელები კი არა, უცხოელებიც ამჩნევენ.

— დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ტაქსების სერვისი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რომ მძღოლების მომსახურების ხარისხი ძალიან დაბალია, მათ არ იციან ელემენტარული, საკომუნიკაციო უცხო ენა, ტაქსებში არ არის დაცული სანიტარული ნორმები — ეს ყველაფერი ძალიან ცუდია ქვეყნისთვის, რომელსაც ტურიზმის განვითარება სურს, — აცხადებს „ეკოტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასილ ურუშაძე.

მიუხედავად ამისა, ხელაღებით ამ პრობლემის გადაჭრა დაუშვებელია, რამდენადაც ამ დარგში დასაქმებული ადამიანებისთვის ეს ერთადერთი საარსებო წყაროა. თანაც რეალურად თუ შევხედავთ საკითხს, ტაქსი მაინც მგზავრობის ყველაზე ნორმალური საშუალებაა.

— მიუხედავად ბევრი ნაკლისა, ტაქსი ყველაზე ნორმალური ტრანსპორტია თბილისში, რადგან ავტობუსები ამორტიზებული და გადატვირთულია. ტექნიკურად გაუმართავი, ასევე გადატვირთულია მიკროავტობუსებიც, არანაკლები დისკომფორტი ხვდება ადამიანს მეტროში, რომლის უსაფრთხოებაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ფონზე ყველაზე უკეთესი საშუალება მაინც ტაქსია.

ამიტომ, ეს ხალხი კი არ უნდა შებოჭონ, უნდა წაახალისონ, ხელი შეუწყონ, ბიზნესი დაინტერესონ, რომ ამ სექტორში ფული ჩადოს. ისეთი სერვისი უნდა შეიქმნას, რომელიც ამ სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს. დღეს ძალიან ბევრ ადამიანს სურს, შექმნას კომპანია და ამ დარგში დასაქმდეს, მაგრამ ისინი სხვა მოთამაშეებთან ერთად თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, — აცხადებს ურუშაძე.

ნიკა ასლანიძე

◎ ინტერნეტიდან

ლილი რაისა სიყვარულსა და სექსს არ მალავს

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში, სექს-ინდუსტრია და ვნებითი ბიზნესი ჯერ მაინც ახალი ხილია, უკრაინაში უკვე გამოჩნდნენ პორნომსახიობად სახელდებული ასულები, რომლებმაც პოპულარობაც მოიხვეჭეს და განცხადებებსაც კაი დაშხოშიანს აკეთებენ.

უკრაინაში განსაკუთრებულად პოპულარულმა პორნომსახიობმა, რომელსაც მეტსახელად ლილი რაისა ჰქვია, თავი კიევის „დინამოს“ თავგადაკლულ ქომაგად გამოაცხადა და დასძინა, რომ იგი კიევური კლუბისთვის თავს არ დაზოგავს და იმასაც კი იზამს, რაც ჯერ არ ჩაუდენია.

საინტერესოა, დარჩა თუ არა ისეთი რამ, რაც ღრმად პატივცემულ ლილი რაისას არ ჩაუდენია, მაგრამ, მოდით, ამაზე ფიქრს შევეშვათ და გულითა და სულით დავუფასოთ ლილი რაისას მშობლიური საფეხბურთო კლუბის სიყვარული. სიყვარულს (ალბათ, ისევე როგორც სექსს) ყოველთვის, შეიძლება, არც უნდა მალვა.

როსტომ რაჭველიშვილი

ყურადღება!

2016 წლის 15 აპრილს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

არჩილ ვაშაკიძე

თემაზე: **„ელექტრული ველები და ჯანმრთელობა“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

ვანდალებმა ერთი დღის გახსნილი სკვერი დაარბიეს

ბათუმში, შინდისის გმირების სახელობის სკვერში ახლად დარგული ხე-მცენარეები და ინფრასტრუქტურა დააზიანეს. ბათუმის მერიის ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ, გამთენიისას მოხდა.

„გამთენიისას შინდისის გმირების სახელობის სკვერში ვანდალურად გაანადგურეს ახალდარგული ხე-მცენარეები. დაზიანებულია სკამები, სანაგვე ურნები და სკვერში არსებული ინვენტარი. ფაქტს სამართალდამცავი ორგანოები იძიებენ. შინდისის გმირების სახელობის სკვერი გუშინ გაიხსნა. ბათუმის მერია მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, გაუფრთხილდნენ და არ დააზიანონ ქალაქის ინფრასტრუქტურა“, — აცხადებენ ბათუმის მერიაში.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

აზრის დაბადება და ... წაკითხვა

ადამიანის თავის ტვინში აზრის დაბადების უნიკალური მომენტის დაფიქსირება შეძლეს ამერიკული კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა.

ექსპერიმენტში 16 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებსაც რვა გადაშენებული ცხოველის კვების რაციონისა და ცხოველმყოფელობის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს. ამ დროს მკვლევარები მათი თავის ტვინის ცალკეული უბნების აქტივობას ფუნქციონალური მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდით სწავლობდნენ. აღმოჩნდა, რომ თითოეული ცნებისთვის აქტივაციის უნიკალური ნიშანი წარმოიშვებოდა, რის საფუძველზე კომპიუტერულმა პროგრამამ შეძლო იმის წინასწარმეტყველება, თუ გადაშენებული ცხოველებიდან კონკრეტულად რომელზე ფიქრობდა ესა თუ ის მოხალისე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებმა შეძლეს ადამიანების აზრების წაკითხვა.

სუფრაზე უფრო მეტი ბოსტნეული და ხილი მიიტანეთ!

ავტორიტული ჟურნალის „Science“-ს ექსპერტების პროგნოზით, რომელიც სამეცნიერო კვლევების საფუძველზეა შედგენილი, 2030 წლისთვის გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილიანობა მდიდარი ქვეყნების მოსახლეობაში გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, თანაც მეტად საგანგაშოა, რომ დროთა განმავლობაში ეს სხვაობა სულ უფრო მეტად გაიზრდება.

საქმე ის არის, რომ ღარიბ ქვეყნებში კვების საფუძველს ბოსტნეული და ხილი შეადგენს, რაც, როგორც დადასტურებულია, იქ კვების მრეწველობა უფრო ცუდადაა განვითარებული, შესაბამისად, ქოლესტერინის, მარილის, შაქრისა და ტრანსცხიმების შემცველი დამუშავებული სურსათიც ნაკლები ოდენობითაა. განვითარებულ ქვეყნებში კი მოსახლეობა, უმეტესწილად, შინ არ იკვებება,

უკეთეს შემთხვევაში კი სუპერმარკეტებში შეძენილ გაცხელებულ ეგრეთ წოდებულ სწრაფ საკვებს მიირთმევს, ამიტომაცაა, რომ იქ, ასე ვთქვათ, „ჯანსაღ საკვებს“, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, ნაკლებად მირთმევენ, აქედან გამომდინარე ცუდი შედეგით.

დიაგნოზი... ჰოროსკოპით

კოლუმბიის (აშშ) მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ სნეულებები ადამიანის დაბადების თვეზე ყოფილა დამოკიდებული.

გამოკვლევაში ნიუ-იორკის კლინიკების 1,7 მილიონი პაციენტი მონაწილეობდა. ექიმებმა დაითვალეს, რომ ასთმით უფრო ხშირად ივლისსა და ოქტომბერში დაბადებული ადამიანები სნეულდებიან. ფსიქიკური გადახრები ემუქრებათ ნოემბერში დაბადებულებს. გულის უკმარისობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უფრო მარტში დაბადებულები უჩივიან, ყველაზე მეტად ინფექციური დაავადებები კი მაისში დაბადებულებს აწუხებთ. საერთოდაც, სხვადასხვა პათოლოგიები მათ ყველაზე ნაკლებად უდგინდებათ.

ავარჯიშეთ მეხსიერება

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალები მეხსიერებას ორჯერ უფრო სწრაფად კარგავენ, ვიდრე მამაკაცები.

მკვლევარებმა ამ ფაქტს ჯერჯერობით ახსნა ვერ მოუძებნეს, მაგრამ ცნობილია, რომ მათ, ვისაც მეხსიერებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, ალცჰეიმერის ავადმყოფობით დასნეულების კანდიდატები არიან. ეს მონაცემები სტატისტიკურადაა გამყარებული: ამერიკელთა ორი მესამედი, ვინც ალცჰეიმერის დაავადებითაა შეპყრობილი, ქალია.

მობილურების საფრთხე

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სმარტფონები უარყოფითად მოქმედებენ მეხსიერებასა და აზროვნებაზე.

აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტ დროს უთმობს კაცი ინტერნეტსა და მობილურ ტელეფონს, მით უფრო მეტად ემართება კოგნიტური აშლილობები — უქვეითდება დაკვირვების უნარი, ხდება დაბნეული და გულმავიწყი. დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ გაჯეტებით დიდად გართულ მოხალისეებს გამუდმებით ავიწყდებოდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საუბრისას კი აზრი უწყდებოდათ.

⊙ ცინცხალი ანეკდოტები

კარგად ჩაცმული მამაკაცი დგას ნიუ-იორკში ცათამბჯენის სიახლოვეს და სიგარეტს აბოლებს. მასთან ჟურნალისტი მივიდა და ეუბნება:

— გამარჯობათ, მე „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ვარ. შეიძლება, რამდენიმე კითხვა დაგისვათ?

— კი, ბატონო, არსად არ მეჩქარება.

— დიდი ხანია, რაც ეწევით?

— ახლა 43 წლისა ვარ. 16 წლიდან ვეწევი.

— რომელ სიგარეტს ეწევით, თუ საიდუმლო არ არის?

— არანაირი საიდუმლო არ არის, მალბოროს ვეწევი.

— ბევრს ეწევით?

— დღეში ორ კოლოფამდე.

ჟურნალისტი კალკულატორს ამოიღებს, რაღაცას ანგარიშობს და მერე კვლავ მიმართავს მამაკაცს.

— იცით, რომ არ ეწეოდეთ, დაზოგილი ფულით აი ამ ცათამბჯენს რომ იყიდდით?

— სერიოზულად?.. თქვენ თვითონ ეწევით?

— არა, არ ვეწევი.

— ცათამბჯენი გაქვთ?

— არა.

— აი, მე კი ვეწევი და ცათამბჯენიც ჩემია...

* * *

— მარო, მე და შენ იმ ასაკში ვართ, როცა ქალის თანხმობა კი არ გახარებს, არამედ გაშინებს.

* * *

ოდესმე ყველაფერი თავდება: მოთმინება, ნერვები, ვაზნები.

აი, ვაზნებზე განსაკუთრებით მწყდება გული.

* * *

— არ გეშინია მარტოს ასე გვიან სეირნობა?

— არა, არ მეშინოდა, სანამ ბუჩქებიდან არ გამოხვედით და ეს არ მკითხეთ.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.278; ევრო - 2.595;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.244;
100 რუბლი - 3.410; თურქული ლირა - 0.803;
აზერბაიჯანული მანათი - 1.476;
1000 სომხური დრამი - 5.706

ამინდი 13 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +20
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +17
თბილისი:	ღამე +13,	დღე +22

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE